ალია

N4/3320/ 12 იანვარი 2016 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

## აზერბაიჯანში დოლარის შესყიდვა შეიზღუდა

რატომ ელის ლარს კიდევ უფრო გაუფასურება?

4

# „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება პიკს აღწევს



„სამსახურებში ვერ მოხვდნენ ადამიანები, ვინც თავი გაწირეს „ოცნების“ გამო. ხოლო ისინი, ვინც ბუჩქებში იმალებოდნენ, დასაქმებულები არიან. ასეთი მხდალი ადამიანები დღეს თანამდებობაზე არიან. აი, ამას აკეთებს ჩემი გუნდი, მაგრამ ჩემი თანამებრძოლები განა იმისთვის იდგნენ ჩემ გვერდით, რომ გამარჯვების შემდეგ პირში პონჩიკს ჩავუდებდი, მათ თავი გაწირეს ქვეყნის უკეთესი უკეთესი მომავლისთვის და რა მიიღეს? – წიხლი!..“

6

## რატომ ჩაფრინდნენ ჩვენი მინისტრები პანკისში სამი სამხედრო ვერტმფრენით?

5

## თბილისის მერია საცობების შემცირებას შუქნიშნების დამონტაჟებით აპირებს

სინამდვილეში რას მიიღებენ ამით მძღოლები?



3

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

არჩევნები მოახლოვდა, ქალბატონო გუგული და ახლა გაგახსენდათ, მოსახლეობასთან მეტი რომ უნდა გემუშავათ? აი, „მალადეც“!..



13

გუდაურში ტრაგიკულად დაღუპული 12 წლის სალომე ტატიშვილი ექიმ დავით ტატიშვილის ძმისშვილია



13

მარგველაშვილი – როგორც პირდაპირი არჩევნებით არჩეულ პირს, შეიძლება ბევრად უფრო მეტი უფლებები მინდოდეს...



13

„სამარცხვინო დუქანია პროკურატურა, თან რამხელა თანხა გვიჯდება ამ არაფრისმაქნისი დაწესებულების შენახვა“



11

## ანტონ ვან დეიკის ტილო საქართველოდან გავიდა — კულტურის სამინისტროში დოკუმენტი ნაპოვნია



კულტურის სამინისტროში იპოვეს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ანტონ ვან დეიკის ტილო საქართველოდან გავიდა.

არქივში ნაპოვნია დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ტილოს ქვეყნიდან გატანის ნებართვაა გაცემული.

როგორც ცნობილია, ნებართვის გაცემაზე 10-კაციანი კომისია მუშაობდა და მათ შორის იყვნენ ხელოვნებათმცოდნეები. თუმცა დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 2010 წლის დეკემბრით, მხატვრის ვინაობა მითითებული არ არის. ტილოს შექმნის ადგილად ევროპაა დასახელებული.

– საკითხი განხილულია მაშინ მოქმედი კომისიის სხდომაზე, ახლავს დასკვნა, სადაც შექმნის ადგილად დასახელებულია ევროპა, თუმცა ნახატის ავტორი არის უცნობი. ამის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი ნებართვა, რომელიც გაიცა 2008 წლის 10 დეკემბერს. საკითხს იხილავდნენ ჩვენი კოლეგები, – განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორმა ბესიკ მაცაბერიძემ.

კულტურის სამინისტროში იმყოფებოდნენ ზაჰირ ჰუსეინოვი, რომელმაც აბაშიძეებისგან ტილო იყიდა და მალხაზ მახარაძე, რომელიც აბაშიძეებსა და ჰუსეინოვს შორის შუამავალი იყო.

როგორც ჰუსეინოვი ამბობს, ვან დეიკის ტილოს კულტურის სამინისტრო ერთი კვირის განმავლობაში სწავლობდა. მისი ინფორმაციით, უწყებაში ფერწერული ტილო 5 000 ლარად შეაფასეს, თუმცა ავტორის დადგენა ვერ მოხერხდა. (ნიუპოსტი)

---

## 2011 წელს გარდაცვლილი პოლიციელის დედა ბესელიასა და კობახიძეს ქრთამის აღებაში ადანაშაულებს

2011 წლის მაისში, საპროტესტო აქციების დროს გარდაცვლილი პოლიციელის ვლადიმერ მასურაშვილის დედა ანა აზნაურაშვილი ეკა ბესელიას, მანანა კობახიძესა და ნანა კაკაბაძეს ქრთამის აღებაში ადანაშაულებს.

აზნაურაშვილის ინფორმაციით, მისი შვილის მკვლელი ციხიდან დროზე ადრე სწორედ ბესელიას, კობახიძისა და კაკაბაძის დახმარებით გამოვიდა.

– 4 წელზე მეტი გავიდა იმ ავადსახსენებელი ღამიდან, როცა ჩემს თვალწინ ტელევიზიით მაყურებინეს, როგორ მოკლეს ჩემი შვილი. ბურჯანაძის ერთ-ერთმა მანქანამ, რომელშიც ალექსანდრე ბიბილური იჯდა, ჩემი შვილი გაიტანა. თავად ბიბილურმაც განაცხადა, რომ მკვლელობა ჩაიდინა, ამიტომ ის უნდა დაისაჯოს და ეს ადამიანი ციხეში უნდა იჯდეს. მას 8 წელი მიესაჯა. ასევე, 5 წელი პირობითი და მინდოდა, რომ ბოლომდე მჯდარიყო ციხეში. როგორც კი გავიგე, რომ პოლიტპატიმართა სია შედგა, მაშინვე მივმართე მთავარ პროკურორს და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, რომ ეს ადამიანი ციხიდან არ გამოეშვათ, მაგრამ ყური არავინ მიგდო. ამ ყველაფრის მერე ამ ზნედაცემულმა ხალხმა, რომლებსაც სძლია სიხარბემ, გამორჩენის მიზნით ეს ყველაფერი გააკეთეს და ბიბილური ციხიდან გამოუშვეს. ამ სამმა ქალბატონმა, ბესელიამ, კაკაბაძემ და კობახიძემ არ ილო ყურად ჩემი, შვილმკვდარი დედის თხოვნა და პირიქით, მასხრად ამიგდეს. მე ვარ პოლიციელის დედა და მთელ საქართველოს ვეუბნები, ჩემი შვილი მოკლეს და ჩემი შვილის მკვლელის ციხიდან გამოშვებას ასე არ დავტოვებ, – განაცხადა აზნაურაშვილმა.



განცხადებას გამოეხმაურა ბრალდების ერთ-ერთი ადრესატი მანანა კობახიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს მიზანმიმართულ კამპანიას.

– რა თქმა უნდა, მის განცხადებაში არავითარი სიმართლე არ არის. ეს არის ისევ და ისევ ბინძური ცილისწამება. ძალიან ბინძური ფაქტი, რომელსაც, სამწუხაროდ, ახლა ეს ქალბატონი ახმოვანებს. ვერ გეტყვით, ვინ მართავს, რა მიზნებით ახმოვანებს. ეს არის ისეთივე სიბინძურე და ცილისწამება, რომელსაც კამპანიურად ეწევიან ელისაშვილი და მისი მეგობრები. ამიტომ, ამისთვის არის პროკურატურა, რომ ეს საკითხი გაირკვეს. მიმართოს ამ ქალბატონმაც პროკურატურას და ისიც იქნება ერთ-ერთი მოწმე, რომელსაც დაკითხავენ. კიდევ ერთხელ ვამბობ, მის განცხადებას არავითარი კავშირი არ აქვს სიმართლესთან. სამწუხაროა, რომ ამ ქალბატონსაც იყენებენ, როგორც ჩანს, გარკვეული პოლიტიკური ძალები. ვის რატომ მიენიჭა პოლიტპატიმრის სტატუსი, ამისთვის კომისია არსებობდა, რომელშიც დეპუტატები არ იყვნენ, მათ შორის არც – მე. ჰკითხონ ისევ იმ კომისიას, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო. კომისიის მუშაობაზე დაყრდნობით იყო პარლამენტის მიერ გადაწყვეტილება მიღებული, – განაცხადა მანანა კობახიძემ. (ნიუპოსტი, ინტერპრესნიუსი)

## მცხეთის მაჟორიტარ დეპუტატ დიმიტრი ხუნდაძეს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ



მცხეთის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები მცხეთის მაჟორიტარ დეპუტატ დიმიტრი ხუნდაძეს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ. როგორც საკრებულოს დეპუტატი „პატრიოტთა ალიანსიდან“, გალინა ახსაბაძე აცხადებს, სწორედ ხელისუფლებისა და დიმიტრი ხუნდაძის ზეწოლის შედეგად დატოვა თანამდებობა საკრებულოს თავმჯდომარე გურამ ანსიანმა. მისივე თქმით, ზეწოლის გამო, ანსიანმა, გასული წლის 31 დეკემბერს პირადი განცხადება დაწერა და თანამდებობიდან გადადგა. ახსაბაძის თქმით, დიმიტრი ხუნდაძე ცდილობს, რომ საკრებულოს თავმჯდომარე მისი ბიძა, ჯემალ სოლოღაშვილი გახდეს. როგორც ახსაბაძე აცხადებს, არანაირი საფუძველი არ არსებობდა ანსიანის მხრიდან თანამდებობის დატოვების, რადგან ის საკუთარ საქმიანობას დადებითად ახორციელებდა. (ინტერპრესნიუსი)

## გიორგი მარგველაშვილი — ორი წლის მანძილზე ინსტიტუციებს შორის არსებული გაუცხოებით ვერც ერთმა მხარემ ვერაფერი მოიგო



– სახელმწიფოს ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ინსტიტუციების ურთიერთობა და ორი წლის მანძილზე არსებული გაუცხოებით ვერც ერთმა მხარემ ვერაფერი მოიგო, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, იმედი აქვს, რომ ახალ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან უფრო ეფექტური ურთიერთობა იქნება.

– მე ბატონ ირაკლის არ განვიხილავ და არ ვიცი, რა იყო მიზეზი. მინდა გითხრათ, რომ სახელმწიფოს ეფექტურ ფუნქციონირებას ნამდვილად სჭირდება უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო ინსტიტუტების, პრეზიდენტის, პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლობა. ეს უბრალოდ ეფექტურობას შეუწყობს ხელს და პოლიტიკურადაც მომგებიანია. არ მგონია, რომ ორწლიან სიცივესა თუ გაუცხოებაში ყოფნით რამენაირად მოიგო რომელიმე მხარემ. თუ შევხედავთ, რომ ამ პროცესმა არანაირი პოზიტივი არ მოუტანა არც პროცესს და არც პოლიტიკურ აქტორებს, ლოგიკურად მგონია, რომ ეს ასე აღარ იქნება, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



## სამი ვერტმფრენის „პასაჟირ“ მინისტრებს როგორ დაიცავს ნორმალური ადამიანი, მაგრამ ერთი ძალიან მაგარი ამბავი უნდა მოგიყვეთ...



თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი მიუღებელს უწოდებს პანკისის ხეობაში მინისტრების სამხედრო ვერტმფრენებით ჩასვლის ფაქტს. ექსმინისტრი იმედოვნებს, რომ ეს ყველაფერი მოსახლეობის დაშინებისთვის არ იყო გამიზნული.

– სამი სამხედრო ვერტმფრენის გამოყენება მინისტრების ჩასაყვანად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიუღებელია. თუ ჩვენ ვინმეს რამით ვაშინებთ, მაშინ ვთქვათ, რომ ვცდილობთ, დავაშინოთ ჩვენი მოსახლეობა. იმედია, ამის მიზანი არ იყო ვინმეს დაშინება. თუ ეს იყო სუფთა პრაქტიკული გადაწყვეტილება, რომ მინისტრები მალე ჩასულიყვნენ პანკისში, შევახსენებ მათ, რომ არის 18-ადგილიანი „სუპერპუმა“, რომელიც განკუთვნილია, რომ ადამიანების დიდი მასა დანიშნულ ადგილზე სწრაფად გადაიყვანოს. არ მეგულება ქვეყანა, სადაც სამი ვერტმფრენით გადაადგილდება მინისტრი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს არის მიუღებელი სუფთა პრაქტიკული და სუფთა კომუნიკაციური თვალსაზრისით. თუ ჩვენ ასეთი კომუნიკაცია გვაქვს ჩვენს მოსახლეობასთან, რომ ჩვენი მინისტრები ადგილზე სამხედრო ვერტმფრენებით ჩაგვყავს, ეს არასწორია. იმედია, არავის ასეთი „ბრძნული აზრი“ არ მოუვიდა, რომ პანკისში სამხედრო ვერტმფრენებით მოსახლეობა დაეშინებინა. თუმცა ამ შთაბეჭდილებას ტოვებს, – ამბობს შაშკინი.

ექსმინისტრის ინფორმაციით, სამხედრო ვერტმფრენებს ფრენის ლიმიტი აქვთ და მათი გამოყენება მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში უნდა მოხდეს.

– ამ ვერტმფრენებს ფრენის ლიმიტი აქვთ, შემდეგ ჩერდება და უტარდება რემონტი. ყველა ვერტმფრენს აქვს თავისი ფრენის საათი. ყოველთვის ძალიან მკაცრად ხდება კონტროლი ფრენის საათების, რომ ფრენის საათები მაქსიმალურად გამოყენებული იყოს იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ეს ვერტმფრენებია. ეს არის სამხედრო და სამაშველო ოპერაციები. საერთოდ, კარგი იქნებოდა, რომ ჩვენმა მთავრობამ მეტი თავდადება გამოიჩინოს მოსახლეობასთან ურთიერთობაში და მეტი დიდგულობა რუსეთთან ურთიერთობაში და არა პირიქით, – განაცხადა შაშკინმა. (ნიუპოსტი)

**„ნაცებს“ გადასარევი ყნოსვა აქვთ და ყველაფერს სათავისოდ იყენებენ, ეს ვიცით უკვე ყველამ გადასარევად და არც ის მხიბლავს დიდად, როცა გამუდმებით წარსულს იხსენებენ ხოლმე, — ასეთი მამაძაღლები იყავით და ისეთი მამაძაღლები იყავით. ერთი კია, არის რაღაცები, რაც უნდა ითქვას, თან აუცილებლად.**

**მოკლედ, სადღაც 2004 ან 2005 წელია და საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსის“ ჟურნალისტად ვმუშაობ. კოდორის ხეობაში ნატოს საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა და ჩინოვნიკ-ჟურნალისტ-დიპლომატებთან ერთად მეც აღმოვჩნდი ღონისძიებაზე.**

**სამი ვერტმფრენი არა, უფრო მეტი იყო. ერთ საკმაოდ მოზრდილ ვერტმფრენში ჟურნალისტები ვისხედით, მეორეში — დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მინისტრები და პარლამენტარები კი კოდორში რამდენიმე „იროკეზით“ წამობრძანდნენ.**

**ნატოს საინფორმაციო ცენტრის გახსნამ მშვიდობიანად ჩაიარა და თბილისისკენ რომ წამოვედით, სენაკის ბაზაზე დავეშვით — საწვავი უნდა შევავსოთო, ასე გვითხრეს.**

**იმ დიდ ვერტმფრენს, რომელშიც ჟურნალისტები ვისხედით, პროპელერზე რაღაც მოსძვრა — რაღაც დეტალი იყო ჩამოწეული, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, შეკეთებას საჭიროებდა. ჰოდა, მიაყენეს, ჩემო ბატონო, ამ ვერტმფრენს რაღაც უცნაური ფორმის უზარმაზარი მანქანა და ჩამომძვრალი დეტალის... „სკოჩით“ მიწებება დაიწყეს.**

**იმის თქმა გამიჭირდება, „სამხედრო სკოჩიც“ თუ არსებობს, მაგრამ ნამეტანი ცუდი დასანახი კი იყო, როცა ჯარისკაცები იდგნენ და ვერტმფრენის პროპელერზე ჩამომძვრალ დეტალს „სკოჩის“ მსგავსი რაღაცით ამაგრებდნენ.**

**გადაირივნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ატეხეს რეკვები — „ჰელპ, ჰელპო“ და მოკლედ, ააწრიალეს მთა და დედამიწა.**

**სხვა ჩინოვნიკებთან ერთად, ნატოს საინფორმაციო ცენტრის გახსნას ბათუ ქუთელიაც დაესწრო, რომელიც მაშინ თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახლდათ.**

**გაბრაზდა ბატონი ქუთელია, რა დღეში არიან ეს ჩემის თვრამეტიანებიო და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო — ჟურნალისტები ელჩების ვერტმფრენში გადაგვსვა, ელჩები კი — „ჩვენს“ ვერტმფრენში, ახლაც იპანიკონ და იჯაჯღანონო...**

**აქედან დასკვნა — მაშინდელი ხელისუფლება ისე იქცეოდა, როგორც მოეპრიანებოდა და ახლანდელიც ზუსტად ანალოგიურად იქცევა — იმათაც ფეხებზე ეკიდათ ყველაფერი და ამათაც აბსოლუტურად ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერი!..**

# გიორგი ბაბუხადია: ნინია კაკაბაძის შვილმა 2010 წელს დანით დაჭრა კუდ-ის თანამშრომელი



„თავისუფალი თაობის“ წევრი გიორგი ბაბუხადია ჟურნალისტ ნინია კაკაბაძის ვაჟის შესახებ საუბრობს:

– მოკლედ, მეგობრებო, ერთი ძალზე საინტერესო ინფორმაცია შევიტყვე ნინია კაკაბაძის შვილთან დაკავშირებით და მინდა თქვენც გაგიზიაროთ. საქმე ისაა, რომ 2008 წელს კაკაბაძის შვილმა დაჭრა ადამიანი, რის გამოც მან 8 თვე გაატარა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თუმცა ამით არ დაკმაყოფილდა და 2010 წელს დანით დაჭრა კუდ-ის თანამშრომელი, რის გამოც სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა 19-წლიანი პატიმრობა, თუმცა ის დღემდე დაუსჯელია, მიზეზი კი გახლავთ კაკაბაძის ახლო ურთიერთობა ნაცმოძრაობასთან, რადგან სხვა შემთხვევაში იმ რეჟიმის პირობებში დაუსჯელი ვერავინ დარჩებოდა.

მინდა, მივმართო ქბ კაკაბაძეს, ქ-ნო ნინია, თქვენს დამსახურებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ (რომელიც საერთოდ არ გაგაჩნიათ), შვილი ვერ გაგიზრდიათ წესიერად და რა უფლებით გამოდიხართ და პატრიარქს უკითხავთ მორალს, იმ პატრიარქს, რომლის დამსახურება ქვეყნის წინაშე ძალიან დიდია. მას მოსახლეობის 98% აღიარებს და პატივს სცემს, რადგან უწმინდესი ჩვენი სულიერი მამა და წინამძღვარი გახლავთ, თქვენ კი ვინ ხართ მის ფონზე?! ჩვეულებრივი პარაზიტი, რომელიც ფულის გამო უწმინდესს უპირისპირდება! უსამართლო ადამიანი ბრძანდებით! (marshalpress.ge)

# საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს



საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ბერი ნიკოლოზის (მაქარაშვილი) ფოტოების გავრცელების ფაქტს საქართველოს საპატრიარქო განცხადებით გამოეხმაურა.

– საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში, განსაკუთრებით კი სამკურნალო დაწესებულებებში ეკლესიის სახელით ვრცელდება ბერი ნიკოლოზის (მაქარაშვილი) ფოტოები ასეთი ტექსტებით: „მხსნელი“, „გადამრჩენელი“ და ა.შ.

გვინდა განვმარტოთ, რომ ბერ ნიკოლოზს თითქმის 20 წელია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული მიზეზების გამო შეჩერებული აქვს მღვდელმსახურება, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# თბილისის მერია საცობების შემცირებას შუქნიშნების დამონტაჟებით აპირებს

## სინამდვილეში რას მიიღებენ ამით მძღოლები?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80





გერმანულმა საკონსულტაციო კომპანიამ თბილისის მერიას საბურთალოს რაიონში საცობების პრობლემის მოსაგვარებლად ხუთი ვარიანტი შესთავაზა. ვიცე-მერის ლაშა აბაშიძის განცხადებით:

*„ჩვენ შევუკვეთეთ კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი მძიმე სატრანსპორტო კვანძის საცობებისგან განტვირთვას, როგორიცაა სააკაძის, 26 მაისის მოედანი, პეკინის ქუჩა და მიმდებარე ტერიტორიები. შესაბამისად, შერჩეულმა გერმანულმა კომპანიამ წარმოადგინა დასკვნა, რომელიც სატრანსპორტო ნაკადების დათვლის და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების გათვალისწინებით მომზადდა. კომპანია A+S Consult GmbH Forschung und Entwicklung-ის დასკვნა აღნიშნულ ტერიტორიებზე სატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობის გაუმჯობესების რამდენიმე ვარიანტს ითვალისწინებს, მათ შორისაა საგზაო მოძრაობის რეგულირება, ჭკვიანი შუქნიშნების დაყენება, კუნძულების შექმნა და ა.შ. შემოთავაზებული ვარიანტებიდან, ვფიქრობთ, ერთი ყველაზე ოპტიმალურია და არჩევანს მასზე შევაჩერებთ. შესაბამისად, მანამ, სანამ ჩვენ რაიმე ინფრასტრუქტურულ გადაწყვეტილებას მივიღებთ, სწორედ ამ მოდელს გავითვალისწინებთ... მხოლოდ ინფრასტრუქტურული განვითარება ქალაქში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი არ იქნება, ძალიან მნიშვნელოვანია, განვითარდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტიც“.*

საცობებისგან განტვირთვის მიზნით, სააკაძის მოედანზე შესაძლოა, შუქნიშნები დამონტაჟდეს. აღნიშნული ვარიანტი ერთ-ერთია, რომელსაც პრობლემის მოსაგვარებლად გერმანული კომპანია თბილისის მერიას სთავაზობს.

რა კრიტერიუმით შეარჩიეთ საბურთალოს რაიონი? რატომ არ ჩართო აღნიშნულ საკითხში მერიამ ადგილობრივი ექსპერტები, მაშინ, როდესაც მსგავსი რეკომენდაციები მათაც ჰქონდათ? რა დაუჯდა თბილისის მერიას გერმანული საკონსულტაციო კომპანიის მოწვევა? – ამ კითხვებით მერიის პრესსამსახურს მივმართეთ, თუმცა, ორსაათიანი ლოდინის მიუხედავად მათგან პასუხი ვერ მივიღეთ.

**„ალიას“ „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ ხელმძღვანელი ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– თბილისის მერია ისევ მარაზმშია! სააკაძის მოედანზე შუქნიშნების დამონტაჟება არის ყველაზე არაეფექტური გამოსავალი აღნიშნულ სიტუაციაში, ნებისმიერი დამატებითი შუქნიშანი ქალაქის საავტომობილო გზებზე ამცირებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობას და ხელს უწყობს საცობების წარმოქმნას. მეტიც, ქალაქში არსებული სატრანსპორტო კვანძები, სადაც მოძრაობა რეგულირდება შუქნიშნებით, უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა, გვირაბებისა და პანდუსების მეშვეობით მოეწყოს ორდონიანი მოძრაობა, რაც მოგვცემს საშუალებას, გავაუქმოთ შუქნიშანი და გავზარდოთ აღნიშნული სატრანსპორტო კვანძის გამტარუნარიანობა. ნებისმიერი შემაფერხებელი ბარიერი, რომელიც ზრდის მოძრავი ავტომობილის უქმად მოცდენის დროს, პიკის საათებში პოტენციური საცობების წარმომქმნელი მიზეზი ხდება. შესაბამისად, მაგალითად, სააკაძის მოედანზე აუცილებელია სატრანსპორტო ნაკადები, რომლებიც ერთმანეთს კვეთს, ავარიდოთ და გავზარდოთ გამტარუნარიანობა, ამისთვის აუცილებელია, მოძრაობა მოეწყოს ორ დონეზე. შუქნიშნის დამონტაჟებით ამ პრობლემას ვერ მოვაგვარებთ.

ასევე, გვაქვს შეკითხვები თბილისის მერიასთან, რატომ არ იყო კვლევების პროცესში ჩართული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები, რატომ შეჩერდა არჩევანი კონკრეტულად აღნიშნულ გერმანულ კომპანიაზე? რა კრიტერიუმებით მოხდა მათი შერჩევა, რატომ არ იყო მიწვეული პრეზენტაციაზე ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე და რატომ გაკეთდა აქცენტი მხოლოდ საბურთალოს რაიონზე? ეს ხომ გლობალური პრობლემაა, რომელიც მხოლოდ ერთი რაიონით ვერ მოგვარდება.

აღნიშნული მცდელობა თბილისის მერიას 2014 წელსაც ჰქონდა, როცა დუბლინელი ექსპერტები ჩამოიყვანეს, თუმცა ვნახეთ, რომ მათ რეკომენდაციებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია და სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. რეალურად შეირჩა კონკრეტულად საბურთალოს რაიონი და სააკაძის მოედანი. თბილისში საცობები არის გლობალური პრობლემა, რომელიც გამოწვეული ქალაქის სატრანსპორტო სისტემის გაუმართაობით, ეს ეხება პარკირების სისტემას, მუნიციპალურ ტრანსპორტს და რაც მთავარია, საგზაო ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, თბილისის მერი, ალბათ, პირადი დისკომფორტიდან გამომდინარე მხოლოდ სააკაძის მოედანს აღიქვამს პრობლემად, სხვა ვერც ერთ ლოგიკურ არგუმენტს ვერ დაგისახელებთ.

**— რას ფიქრობთ, რატომ არ იყვნენ ჩართული ჩვენი ექსპერტები?**

– ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ კომპანიის უკან გარკვეული ინტერესები შეიძლება იდგეს ხელისუფლების მხრიდან. ბუნდოვანია აღნიშნული კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები, რა პრინციპებიდან გამომდინარე შეარჩია თბილისის მერიამ. ფაქტია, შუქნიშნების დამონტაჟება საცობების განმუხტვის მიზნით ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული და ამას ნებისმიერი ექსპერტი ტრანსპორტის დარგში დაგიდასტურებთ.

**— ამბობთ, რომ ეს არ არის გამოსავალი. ხვალ რომ მიგიწვიონ, რას ურჩევდით — რა უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ, თქვენ რა გეგმა გაქვთ?**

– პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, როგორც ჩანს, თბილისის მერია უარს ვერ ამბობს პრემია-დანამატებზე და პირად კომფორტზე, შესაბამისად, იპოვეს მარტივი გამოსავალი და სურთ, შუქნიშნის დაყენებით მოაგვარონ თბილისში აღნიშნული პრობლემა. სინამდვილეში კი ეს მიდგომა სიტუაციას გააუარესებს და კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ასეთი მმართველობის პირობებში, მომავალში თბილისი სატრანსპორტო კოლაფსისთვისაა განწირული.

**— გაქვთ ინფორმაცია, რა დაუჯდა მერიას გერმანელი ექსპერტების მოწვევა?**

– ამის შესახებაც არანაირი ინფორმაცია არ არსებობს და შესაბამისად, ჩვენ მოვითხოვთ თბილისის მერიისგან, გასაჯაროვდეს ხელშეკრულება, პროექტის ღირებულება და აღნიშნული კომპანიის მიერ შემუშავებული კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების დოკუმენტი.

**— თქვენი აზრით, რა პრინციპით შეარჩიეს მაინცდამაინც საბურთალო და სააკაძის მოედანი, რადგან მერიის მიმდებარე ტერიტორიაა?**

– ჩვენი ორგანიზაცია 2014 წლიდან მუშაობს თბილისში არსებული საცობების პრობლემაზე, გვქონდა არაერთი პროექტი, თბილისის მერიას შევთავაზეთ რეკომენდაციები დოკუმენტის სახით, რა უნდა გაკეთებულიყო ქალაქში იმისთვის, რომ საცობები განმუხტულიყო. სამწუხაროდ, არ ვიყავით ინფორმირებულები ამ პროექტის შესახებ. შესაბამისად, საერთოდ, გაუგებარია, რატომ მივიღეთ თბილისის მერია, რომელიც არ ითვალისწინებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების რეკომენდაციებს და ბიუჯეტის ფულს საერთაშორისო კომპანიების დაქირავებაში ფლანგავს, რაც, საბოლოო ჯამში, არაფრის მომცემია.

# Morgan Stanley – ნავთობის ფასი შესაძლოა, 10-20 დოლარამდე დაეცეს



მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი შესაძლოა, 20 აშშ დოლარამდე დაეცეს. ამის შესახებ „ბლუმბერგი“ ამერიკულ ბანკ **Morgan Stanley**-ზე დაყრდნობით წერს. ანალიტიკოსების მოსაზრებით, ბრენტის მარკის ნავთობის ფასი 10-25 პროცენტით იმ შემთხვევაში შემცირდება, თუ დოლარი 5 პროცენტით გაძვირდება.

**Morgan Stanley**-ში მოსაზრებას გამოთქვამენ, რომ ნავთობის ღირებულებაზე ამერიკული ვალუტა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ცოტა ხნის წინ, ნავთობის ფასის 20 დოლარამდე დაცემა **Goldman Sachs**-მაც ივარაუდა. (bpn.ge)

# „ნატომ „მეფობა“ მოისურვა, რამაც ევროპაში კრიზისი გაამწვავა“



დასავლეთის სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სულელური და საზიანოა, ეს არ არის ყველაზე დიდი სირთულე, რომელიც ამჟამად რუსეთს გადააქვს, – ეს განცხადება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გერმანულ გამოცემა **Bild**-თან ინტერვიუში გააკეთა და აღნიშნა, რომ რუსეთს ყირიმის ოკუპაცია არ მოუხდენია. მისი მოსაზრებით, დასავლეთის სანქციები რუსეთის „შესაძლებლობების შეკავებისკენაა“ მიმართული.

ვლადიმერ პუტინის განცხადებით, საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ნატოს შეეძლო, გაფართოებაზე უარი ეთქვა, თუმცა ალიანსმა „მეფობა“ მოისურვა, რამაც ევროპაში კრიზისი გაამწვავა. პუტინის თქმით, მესამე ძალები რუსეთთან ბრძოლაში საერთაშორისო ტერორიზმს იყენებდნენ, „ანტისახელმწიფოებრივ“ ძალებს კი პოლიტიკურ, ფინანსურ და შეიარაღებულ მხარდაჭერას უწევდნენ. მისი თქმით, რუსეთს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე უნდა დაეფიქსირებინა, რაც ნატოს აღზევებას ხელს შეუშლიდა.

– მათ სურდათ მეფობა და ტახტზე ავიდნენ კიდეც. დღეს კი სახეზე გვაქვს კრიზისული სიტუაციები. ნატოს საერთოდ გაუქრა სურვილი, საერთაშორისო ნორმებსა და გაეროს წესდებას დაემორჩილოს. უფრო მეტიც, ისინი ამბობენ, რომ გაერო მოძველდა, – აცხადებს პუტინი. (პირველი რადიო)

## აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი — „გაზპრომი“ 10-დან 5 პროცენტამდე შეამცირებს გადასახადს, რომელსაც საქართველოს სომხეთში გაზის ტრანსპორტირებისთვის უხდის



– „გაზპრომი“ 10-დან 5 პროცენტამდე შეამცირებს გადასახადს, რომელსაც საქართველოს სომხეთში გაზის ტრანსპორტირებისთვის უხდის, – ამის შესახებ აზერბაიჯანელი პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი მუბარიზ აჰმედოღლუ აზერბაიჯანულ სააგენტო „ტრენდთან“ საუბარში აცხადებს. პოლიტოლოგის თქმით, რუსეთს ტარიფის შემცირება ყოველთვის უნდოდა, თუმცა აქამდე ამას ვერ ახერხებდა.

– ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძისა და ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის მითმა „აზერბაიჯანისგან დამოუკიდებლობის შესახებ“ ამ საკითხში ცვლილებები განაპირობა და „გაზპრომმა“ ეს საკუთარ ინტერესებში გამოიყენა. ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, როდის და რა პირობებით დასრულდება გაზის დამოუკიდებლობის თამაშები. ეს თამაშები დასრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთი სომხეთში გაზის ტრანზიტისთვის საფასურს 10-დან 5 პროცენტამდე შეამცირებს, – აცხადებს პოლიტოლოგი.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი „გაზპრომის“ ერთ-ერთ აქციონერია, ამიტომ სურს, ტრანზიტის საკითხი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს.

– კახი კალაძეს „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები ივანიშვილმა შთააგონა, – აცხადებს პოლიტოლოგი.

აჰმედოღლუს ინფორმაციით, ირანის გაზის ექსპორტის სახელმწიფო კომპანიის, **NIGEC**-ის გენერალური დირექტორის, ალირეზა კამელის ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადება, რომ ირანულ და ქართულ დელეგაციებს შორის მოლაპარაკებები გაიმართა, სიმართლეს არ შეესაბამება და მსგავს მოლაპარაკებებს ადგილი არ ჰქონია. პოლიტოლოგის შეფასებით, არ არსებობს მილსადენი, რომლის საშუალებითაც სომხეთიდან საქართველოში ირანული გაზის მიწოდება გახდება შესაძლებელი.

– საქართველო-სომხეთს შორის არის მხოლოდ ერთი გაზსადენი, რომლის გავლითაც ხდება გაზის ტრანსპორტირება საქართველოდან სომხეთში. იმისთვის, რომ ამ გაზსადენით დაიწყოს გაზის ტრანსპორტირება სომხეთიდან საქართველოში, საჭიროა დრო და ფინანსები. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი რუსეთის, სომხეთისა და საქართველოს პოლიტიკური შეთანხმება გახდება გაზსადენის რევერსულ რეჟიმზე გადაყვანის საკითხზე, – აცხადებს აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი და დასძენს, რომ კალაძეს თავისი განცხადებებით აზერბაიჯანის დასჯა უნდოდა. (ინტერპრესნიუსი)

# აზერბაიჯანში დოლარის შესყიდვა შეიზღუდა

## რატომ ელის ლარს კიდევ უფრო გაუფასურება?

*გელა ზედელაშვილი*
*555 48-48-61*





ქართველი და უცხოელი ექსპერტები უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ ჩვენს რეგიონში შექმნილ საგანგაშო სიტუაციაზე. როგორც ჩანს, აზერბაიჯანში დაწყებული ფინანსური კრიზისი მალე ჩვენც მოგვწვდება. როგორც ეკონომიკის ექსპერტი, ემზარ ჯგერენაია ამბობს, აზერბაიჯანმა ორიოდე კვირის წინ მანათის კურსი „თავისუფალი ცურვის“ რეჟიმში გადაიყვანა, რომელმაც ვერ გაუძლო დაცემულ ნავთობის ფასის ზეწოლას და ახალი შეზღუდვები დაუწესა სავალუტო კონვერტაციას:

*„სააგენტო „ბლუმბერგმა“ პლატფორმიდან დროებით მოხსნა დოლარის მანათზე პირდაპირი კვოტირების მაჩვენებელი, ხოლო კომერციულმა ბანკებმა, ფაქტობრივად, დაკეტეს დოლარის კონვერტაციის ყველა ლეგალური არხი. ყოველმა პირმა, ვინც 500 დოლარზე მეტი თანხის გადახურდავებას მოინდომებს, უნდა წარადგინოს პირადობის მოწმობა. რეალურად კომერციულმა ბანკებმა შეწყვიტეს დოლარისა და ევროს გაყიდვა. მანათის კურსი დოლართან მიმართებაში მიმდინარე კვირას 1.5626 დაფიქსირდა, თუმცა ადგილობრივ ბაზარზე შეზღუდვისთანავე გაჩნდა მეორე, შავი კურსი — 2.000. ბუნებრივია, აზერბაიჯანში გაჩენილი პანიკა და დოლარზე მოთხოვნა საქართველოსაც გადმოსწვდება — აზერბაიჯანის ბიზნესი ეცდება, საქართველოში გადაახურდაოს მანათი მყარ ვალუტაზე და ეს გაზრდის დოლარზე მოთხოვნას... სასწრაფოდ უნდა შეიქმნას საგანგებო საბჭო ხელისუფლების სხვადასხვა შტოების, ბიზნესწრეებისა და ექსპერტების მონაწილეობით, რათა თავიდან ავირიდოთ საფინანსო ზვავი, რომლის საშიშროება რეგიონში დღითი დღე იზრდება“.*

თითქმის ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ აზერბაიჯანი ვალუტაზე მოთხოვნას შესყიდვის მიზნით საქართველოში გააკეთებს და დოლარი გაქრება. რომ არა შარშანდელი გამოცდილება, შეიძლება გვეფიქრა, რომ ჩვენ საშიშროება არ დაგვემუქრებოდა, მაგრამ ახლა უკვე ვიცით, რომ ლარის დევალვაციას სწორედ აღნიშნული ფაქტორები იწვევდა – ქვეყნიდან უცებ გავიდა დოლარის დიდი მასა.

მაინც, რას შეიძლება ველოდოთ ახლო მომავალში?

ეკონომიკის ექსპერტის, დემურ გიორხელიძის თქმით, იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ჩრდილოვანი ეკონომიკა და მისი მომსახურება ძირითადად უცხოურ ვალუტაში, ანუ დოლარში ხდება, ყველაფერია მოსალოდნელი:

„ყველაფერი ღირებული ქვეყანაში, საცხოვრებელი ბინები და ავტომობილები დოლარში იყიდება, თუმცა, კანონით ეს აკრძალულია და დასჯადი უნდა იყოს. იმის ნაცვლად, რომ ეროვნული ბანკი დოლარის მიმოქცევას ზღუდავდეს ქვეყნის შიგნით და კანონს იცავდეს, ხელს უწყობს უცხოური ვალუტის ჩართვას ფულის მასაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციით, სადაც უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების შეფარდება 30%-ზე მეტია, მაღალ დოლარიზებულ ქვეყნებად ითვლება. 2015 წლის ბოლოსთვის საქართველოში დოლარიზაციის კოეფიციენტი თითქმის 70%-მდე ავიდა“.

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საფინანსო სისტემა ჩვენ აღარ გვეკუთვნის.

ერთი სიტყვით, აზერბაიჯანში რომ მანათს დედა ეტირა და თურქული ლირაც უფასურდება, ამის შესახებ ჩვენს მთავრობაშიც იციან და პარლამენტშიც, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე გეგმა ან დამცავი მექანიზმების შემუშავების ინიციატივა არ არსებობს. როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, თამაზ მეჭიაური ამბობს „ალიასთან“, რაც ჩვენს რეგიონში ხდება, ეს საქართველოზე, კერძოდ, ლარის კურსზეც აისახება, მაგრამ ჯერ არავინ იცის, როგორ და რა დოზით. არსებობს თუ არა რაიმე სახის კონკრეტული პროგნოზი ხელისუფლებაში? ამაზე თამაზ მეჭიაური ამბობს, რომ სწორედ ამ საკითხს არკვევს და ამ დღეებში დეტალურად ეცოდინება, რა ხდება ამ მიმართულებით.

რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, რომ იგივე მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ, რაც გასულ წელს დაგვემართა? მაგალითად, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აზერბაიჯანმა მიიღო საგანგებო ზომები და ვალუტის გადაცვლის ჯიხურებიც კი დახურა დროებით, რათა არ მოხდეს დოლარის ქაოსური შესყიდვა და არ შეიქმნას უფრო მეტი დეფიციტი. გამკაცრებულია სიტუაცია გადარიცხვების მხრივაც. 2015 წლის თებერვალში, როცა ერთდროულად დაიწყო მანათისა და ლარის გაუფასურება, მაშინ ზოგიერთი სპეციალისტი სხვადასხვა ფაქტორებს ასახელებდა და ამტკიცებდა, მანათის გაუფასურება ნავთობის გაიაფებამ გამოიწვია, ხოლო საქართველოში ეს ხდება საგარეო ფაქტორების გავლენით, ანუ რუსული და თურქული ფაქტორებითო. ასევე, ასახელებდნენ ქართულ ფაქტორს, ანუ იმას, რომელ ქვეყნებთან გვაქვს სავაჭრო ურთიერთობები, ვინაიდან აზერბაიჯანი თავის შიდა ბაზარს მკაცრად იცავს, ჩვენი ქვეყანა ამ ფაქტორისგან დაცულიაო. აი, დადგა დრო, როცა აზერბაიჯანი თავის შიდა ბაზარს მკაცრად კი არა, საერთოდ ველარ იცავს და მანათი გაექცა ხელიდან. არადა, ამ ქვეყანასთან ჩვენ მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობა გვაქვს – თურქეთის შემდეგ მეორე სავაჭრო პარტნიორია. 2015 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების 35% აზერბაიჯანზე მოდის. ექსპერტების თქმით, უახლოეს მომავალში აუცილებლად შემცირდება აზერბაიჯანული ინვესტიციები და სავაჭრო ბრუნვა. თუ რას ნიშნავს ინვესტიციებისა და სავაჭრო ბრუნვის შემცირება, ეს უკვე ვნახეთ.

დემურ გიორხელიძის თქმით, ამას უნდა დავუმატოთ საქართველოს საგარეო ვალი, რაც 2015 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, 14,4 მილიარდი დოლარია. მისივე თქმით, კომაში მყოფი ეკონომიკისა და გაუაზრებელი შიდა პოლიტიკის პირობებში სახარბიელო მონაცემები ნამდვილად ვერ არის 2016 წლისთვის.

ამას წინებზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, 2017 წლიდან დაიწყება აღმავლობის პერიოდი და საქართველო იქნება ლიდერიო:

*„ეს არის საერთო პრობლემა, რომელიც მოხდა რეგიონში და ევროპაში. 2016 წელი ისევ იქნება რთული. იმედია, დასრულდება ეს კრიზისი და 2017-დან დაიწყება აღმავლობის პერიოდი. მინდა მოსახლეობას შევახსენო ჩემი გამონათქვამები, რომ მეორე წელიწადი იქნება გასაგები, მესამე იქნება ძალიან კარგი და შემდგომი უფრო კარგი. მხედველობაში მქონდა ის, რომ ძირითადი ფუნქცია, რაც უნდა შეასრულოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ ბიზნესი წარმატებით განვითარდეს, ინვესტიციები შემოვიდეს, ჩვენ ეს ყველაფერი დავაფუძნეთ. ბიზნესი არის თავისუფალი, კერძო საკუთრება არის დაცული, კრიმინალი შემცირდა, კანონები იხვეწება. მე რაც მაძლევდა საფუძველს იმის თქმისას, რომ საქართველოს ეკონომიკა იქნება წარმატებული, იყო ის, რომ ჩვენ იმ თამაშის წესებს ვაფუძნებთ, რის ხარჯზეც სხვა ქვეყნები გახდნენ წარმატებულები. დასრულდება კრიზისი რეგიონში, ევროპაში და საქართველო აუცილებლად იქნება წარმატებული ქვეყანა. რაც შეეხება ლარის დევალვაციას, ეს არ იყო და არ არის მთავრობის ცუდი მუშაობის შედეგი. ამის მიზეზია რეგიონში მომხდარი პრობლემები, ჩვენი სავაჭრო პარტნიორები, ევროპაში პრობლემები. საქართველო ამას ვერ გადაურჩებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში ეროვნული ბანკის ქმედება არ იყო თანმიმდევრული და დროული, თუმცა ეს არ არის ძირითადი სიმძიმე. ეროვნულმა ბანკმაც შესაძლოა, ზედმეტად ჭარბად მოახდინა ლარის დევალვაცია, თუმცა ამის გათვლა ძალიან რთულია“.*

როგორც ხედავთ, ივანიშვილიც საკმაოდ პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს – 2016 წელი იქნება რთული და 2017 წლიდან დაიწყება აღმავლობაო. დაპირების მეორე ნაწილი უკვე ლირიკაა, ივანიშვილმა კი არა, ჯერ არავინ იცის, როდის დასრულდება (საერთოდ, დასრულდება კი?) კრიზისი. მართალია, ჯერ ხელისუფლებას არ გააჩნია არანაირი გეგმა, მაგრამ ექსპერტების თქმით, მკაცრადაა გასაკონტროლებელი ჩვენი საფინანსო და საბანკო სისტემა, ასევე, საჭიროა დოლარიზაციის მკვეთრი შემცირება, სხვა გზებით ინვესტიციების მოზიდვა და მონეტარული პოლიტიკის მზადყოფნაში მოყვანა, თუკი რაიმე სახის რეზერვები გაგვაჩნია. რაც მთავარია, უნდა ჩატარდეს სწორი და საფუძვლიანი კვლევა, რა ხდება ჩვენს რეგიონში, ანუ კიდევ რა უბედურება შეიძლება დაგვემართოს.

## „ბიჭმა მიტოვებულ ქოხში დაასრულა სიცოცხლე“ — რა გახდა მე-12 კლასელის გარდაცვალების მიზეზი



ბორჯომში მე-12 კლასელი ომარ გელაშვილის თვითმკვლელობის ფაქტზე საუბარი უჭირთ თანატოლებსა და სკოლის დირექტორს.

მეგობრები ბაჩის (კლასელები გარდაცვლილს ასე ეძახდნენ) უკონფლიქტო ადამიანად ახასიათებენ.

– მუდამ მხიარული და გაღიმებული მემახსოვრები, არასდროს დაგივიწყებ, ჩემო ძმაო, – წერენ გარდაცვლილის მეგობრები სოციალურ ქსელში.

ომარი ბორჯომის მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლე იყო. როგორც სკოლის დირექტორმა ქეთევან ხაჩიძემ აღნიშნა, ახალგაზრდა უკონფლიქტო იყო და სტუდენტობისთვის ემზადებოდა.

– სიცოცხლით სავსე ბავშვი იყო. მას არავისთან არ ჰქონია კონფლიქტი, მისი კლასი ძალიან შეკრულია, მეგობრულობით გამოირჩევა, ყველა განადგურებულია მომხდარის გამო, – აღნიშნა სკოლის დირექტორმა.

მისი ინფორმაციით, ბიჭმა სუიციდს გვიან ღამით, სახლთან ახლოს მდებარე მიტოვებულ ქოხში მიმართა.

გარდაცვლილი მისივე ოჯახის წევრებმა იპოვეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბოლო პერიოდში მოზარდი დეპრესიული იყო, თუმცა ეს ფაქტი კატეგორიულად უარყო კლასის დამრიგებელმა ნესტან მახარაშვილმა.

– მუდამ მხიარული იყო ჩემი ომარი. ყველას, გაზვიადების გარეშე ვამბობ, მთელ კლასს განსაკუთრებულად უყვარდა, მისი უკონფლიქტო და ხალისიანი ბუნების გამო. გონზე ვერ მოვსულვართ, გვიჭირს მიზეზებზე საუბარი. შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა. მისი დის მსგავსად, ექიმობაზე ოცნებობდა და აქტიურად ემზადებოდა სტუდენტობისთვის, – აღნიშნა პედაგოგმა.

მისი თქმით, მოზარდს სერიოზული სასიყვარულო ურთიერთობაც არ ჰქონია.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ფაქტზე ძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## „არც მძღოლი... არც კარის გამღები... არც ქოლგის დამტარებელი... არც დაცვა და არც არაფერი... უბრალოდ, ვიღაც კარგი ბიჭი“



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ დავით ბაქრაძის შესახებ წერს:

– ახლა უნდა მოვყვე ჩემი დღევანდელი შთაბეჭდილება, რომელიც სრულიად უჩვეულო აღმოჩნდა ჩვენი დღევანდელი რეალობისთვის... მოკლედ, მივფრინავთ პანკისში... ვერტმფრენის ასაფრენ ბილიკთან ვდგავართ და ვუცდით გაფრენას... ჩერდება რაღაც მანქანა, თუ არ ვცდები, სედანი „ტოიოტა“ და გადმოდის მძღოლი, კეტავს კარს და გვიერთდება შეუმჩნევლად, ქეჟუალ ფორმაში. მეცნო და ცოტა ხანში მივხვდი, რომ ესაა სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის მიმართულებით, დათო ბაქრაძე. არც მძღოლი... არც კარის გამღები... არც ქოლგის დამტარებელი... არც დაცვა და არც არაფერი... უბრალოდ, ვიღაც კარგი ბიჭი... აი, გაზეთებში რომ წამიკითხავს, ეგეთი კარგი ტიპი, დაცვებისა და სიგნალიზაციების გარეშე. რატომ უნდა გვიკვირდეს ხომ? მაგრამ გვიკვირს... და თან სასიამოვნოდ გამიკვირდა... ხოდა, მე კი არ გამიკვირდა და მომეწონა მარტო მისი ეს უდაცვობა და უქოლგობა... ყველას მოეწონა, ოპერატორიან-ჟურნალისტიანად, ვინც იქ იყო... რაღაც არაქართული მოვლენა გაიჩითა, – წერს გრიგოლია. (პირველი რადიო)

## უკრაინაში რუსული პროდუქციის შეტანა აიკრძალა



უკრაინაში რუსული პროდუქციის შეტანა აიკრძალა. შესაბამისი კანონი ძალაში 10 იანვარს შევიდა.

რუსული პროდუქციის აკრძალვასთან დაკავშირებით შესაბამისი დადგენილება უკრაინის მთავრობამ გასული წლის 30 დეკემბერს, რუსეთის მიერ უკრაინის სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ნედლეულზე ემბარგოს დაწესების საპასუხოდ მიიღო.

რუსეთიდან უკრაინაში ველარ შევა: ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები, ყავა, ჩაი, ხორბალი, საკონდიტრო ნაწარმი, ბავშვთა კვება, სიგარეტი, ლუდი, არაყი და სხვ.

აკრძალვა 2016 წლის აგვისტომდე ან რუსეთის მიერ უკრაინისთვის სანქციების გაუქმებამდე გაგრძელდება. (ნიუპოსტი)

# რატომ ჩაფრინდნენ ჩვენი მინისტრები პანკისში სამი სამხედრო ვერტმფრენით?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



მედიით გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი, განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე რევაზ ჯაველიძე, განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და კულტურის მინისტრის მრჩეველი, ქეთი დუმბაძე 2 დღის წინ პანკისის ხეობას ესტუმრნენ და ომალოსა და დუისში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა.



თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მთავრობის წარმომადგენლები სოფელ ომალოში, „კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის“ დახმარებით შექმნილ ელექტროშემდუღებლის კურსის მოსწავლეებს, კურსის ხელმძღვანელსა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. დაათვალიერეს თექის დამუშავების სახელოსნო. საქართველოს კულტურის სამინისტრომ „კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის“ ბიბლიოთეკას საჩუქრად თანამედროვე ქართველი მწერლების წიგნები გადასცა. ამ ინფორმაციაში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი 3 მინისტრი და სხვა ჩინოვნიკები ხეობაში ვერტმფრენებით ჩაფრინდნენ. დიახ, ვერტმფრენებით და არა ერთი ვერტმფრენით. ამ ამბავს სოციალური ქსელში დიდი გამოხმაურება და კრიტიკა მოჰყვა.

უნახავმა რა ნახაო – აი, ზუსტად ეგრეა ამ ადამიანების საქმე, რომლებმაც პანკისში ვერტმფრენებით გაისეირნეს და თექის დამამუშავებელი საამქრო დაათვალიერეს. შე დედააფეთქებულო, რომელიღაცა მინისტრი გდიხარ, ქვეყანა თავზე გემხობა, ხალხი შიმშილითა და უწამლობით იხოცება, ქვეყანას 14 მილიარდი დოლარი საგარეო ვალი აქვს, ადექი რა, ჩაეგდე მანქანაში და მანქანით ჩადი იმ პანკისში. რომელი მიუვალი გზები მანდეთ არის, რომ მანქანით ვერ ჩახვიდე? „ჯიპები“ ხომ ემსახურებათ და პანკისში კი არა, იმის იქითაც წავიდოდნენ, რომ მოენდომებინათ. მაინტერესებს, დათვალეს ამ მინისტრებმა, რამხელა ზიანი მიაყენეს პანკისში ამ ერთი გასეირნებით ბიუჯეტს? დათვალეს ის სხვაობა, ვერტმფრენებზე უარი რომ ეთქვათ, მანქანებით წასვლის შემთხვევაში, რას მისცემდა ბიუჯეტს? არა მგონია, ამათ ბიუჯეტი ფეხებზე ჰკიდიათ, ამათთვისაც და სხვა მინისტრებისთვისაც, ბიუჯეტი გართობისა და კომფორტული ცხოვრების საშუალებაა, ბიუჯეტისა და ჯიბის ფული ერთია და არა ხალხის მიერ ნაკოწიწები ფული, რომელიც იმავე ხალხის ინტერესებს უნდა მოახმარო.

ჩვენი ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენლებმა, კვირა არ გავა, ისეთი რამ არ გააკეთონ, ხალხს სულში არ ჩააფურთხონ, თავიანთი საქციელით არ უთხრან, ბიუჯეტი ჩვენს ხელშია, როგორც გვინდა, ისე დავხარჯავთ და სულ ფეხებზე გვკიდიხართო. უკვე ამოვიდა ყელში თქვენი ამაზრზენი საქციელი, რა, უკვე ველარ გიტანთ ხალხი. ისეთ უნამუსობებს სჩადიხართ და ეს ხალხი გიტირებთ მალე დედას...

**ამ მაღალჩინოსნების თავგასულობაზე „ალიას“ ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

**— ბატონო ვახტანგ, რას იტყვით ჩვენი მინისტრების მიერ პანკისში ვერტმფრენებით გასეირნებაზე?**

– ამ ფაქტით ძალიან აღშფოთებული ვარ. ეს იყო პოლიტიკურად არაკორექტული ნაბიჯი ჩვენი მინისტრების მხრიდან. რა ვიცი, ჩემთვის წარმოუდგენელი ამბავია. რა უნდოდათ პანკისის ხეობაში სამხედრო ვერტმფრენებით, მართლა ვერ გავიგე.

**— სამივე საბრძოლო ვერტმფრენი იყო?**

– რა თქმა უნდა და საზოგადოებამ ამის შესახებ ნაკლებად იცის. სამივე ვერტმფრენი „იროკეზის“ ტიპისა იყო. ამ ვერტმფრენებით ვიეტნამის ომის დროს, ჰაერიდან სახმელეთო ჯარების საცეცხლე მხარდაჭერას ახორციელებდნენ ამერიკელები. პანკისის ხეობა რომელი კონფლიქტური რეგიონია, რომ სამხედრო ვერტმფრენებით ჩადიხარ? სამოქალაქო ვერტმფრენებით რომ ჩასულიყვნენ, დავუშვათ, კიდევ ჯანდაბას. თუმცა, არც ამას ექნებოდა გამართლება.

**— ან სამოქალაქო ვერტმფრენებით რატომ უნდა ჩაფრენილიყვნენ პანკისში? არ ეკადრებოდათ ჩვენს მინისტრებს, მანქანებში ჩამსხდარიყვნენ და ისე ჩასულიყვნენ?**

– მართალია, ამდგარიყვნენ და მანქანებით წასულიყვნენ. პანკისში იმ დღეს არც მოყინული გზა იყო, რომ მანქანით წასვლა პრობლემა ყოფილიყო და ეს კუთხე პირიქითა ხევსურეთი არ არის, სადაც სამანქანო გზა არ გადის. ამდგარიყვნენ და ბარემ ტანკებით ჩასულიყვნენ, ტანკების კოლონით წასულიყვნენ.

**— ბატონო ვახტანგ, ეს იყო, როგორც რუსები იტყვიან, „ხამობა“. თქვენ აცხადებთ, არაპოლიტკორექტული იყო მათი საქციელიო, მაგრამ, მგონი, უფრო მკაცრ შეფასებას იმსახურებენ.**

– მე ვცდილობ, კორექტულობის ფარგლებს არ გავცდე ამ ფაქტის შეფასებისას და ვულგარული არ ვიყო, თორემ კი იმსახურებენ უფრო მკაცრ და უფრო ვულგარულ ლექსიკასაც. ენა ჩამივარდა, როცა ეს ამბავი გავიგე, თავიდან არ ვიჯერებდი, მეგონა, ხუმრობა იყო. არა, ამ მინისტრების საქციელს გამართლება არ აქვს, ეს ფაქტია, მაგრამ საინტერესოა, ვის თავში მომწიფდა ესა „გენიალური იდეა“, რომ მინისტრები სამხედრო ვერტმფრენებით გაემგზავრებინათ პანკისის ხეობაში. კარგი, განათლების მინისტრის ჩასვლას გამართლება აქვს, მაგრამ თავდაცვისა და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრების ვიზიტი ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ჯანდაცვის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის მინისტრები რომ ჩასულიყვნენ, ჰა და ჰა, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ თავდაცვის, განათლებისა და ევროინტეგრაციის მინისტრებს ისეთი რა საქმე ჰქონდათ პანკისის ხეობაში, რომ სამხედრო ვერტმფრენებით ჩაფრინდნენ. რაც მე ინფორმაცია ვნახე ამ ვერტმფრენებით „გასეირნებასთან“ დაკავშირებით, განსაკუთრებული ვიზიტი ეს არ ყოფილა პანკისში. ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო მინისტრებისთვის და ამ სამუშაოს შესასრულებლად სამხედრო ვერტმფრენები არ არის საჭირო.

**— დაახლოებით რამდენით აზარალეს ჩვენმა მინისტრებმა ბიუჯეტი, ხომ ვერ გვეტყვით?**

– მე ჩემი „გოლფ-4“-ით ჩავდივარ ხოლმე პანკისში და 10 ლარის საწვავი მყოფნის. ჩვენი მინისტრები ორ ამდენ საწვავს მაინც დახარჯავდნენ, „ჯიპებით“ რომ ჩასულიყვნენ და ამით ბიუჯეტს დიდი ზარალი ნამდვილად არ მიადგებოდა. მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც 3 სამხედრო საბრძოლო ვერტმფრენებით ჩაფრენა და ჩამოფრენაა. ზუსტად ვერ გეტყვით, რა თანხის საწვავს დახარჯავდნენ, მაგრამ ვიცი, რომ ძვირად ღირებული საწვავი სჭირდება ამ „იროკეზის“ ვერტმფრენებს, დაახლოებით სამჯერ მეტი ღირს მისი საწვავი, ვიდრე სამოქალაქო ვერტმფრენებისა. „იროკეზის“ თითოეული საბრძოლო გაშვება საკმაოდ ძვირი ჯდება, ეს ცნობილია. მოკლედ, ეს მოგზაურობა ძალიან ძვირი დაუჯდებოდა ბიუჯეტს და იმედია, ამას გავიგებთ.

## საბერძნეთის პროკურატურა მოსახლეობას ქართველი კრიმინალების დაკავებაში დახმარებას სთხოვს



საბერძნეთის პროკურატურა ოთხი ქართველის დაკავებაში დახმარებას საჯაროდ ითხოვს. ლაპარაკია ცოტა ხნის წინ გამოვლენილი 29-კაციანი დაჯგუფების ლიდერებზე, რომლებიც კრიმინალური ავტორიტეტები არიან.

მათ შესახებ ინფორმაციის მოწოდების თხოვნით ქვეყნის პროკურატურამ მოსახლეობას მედიასაშუალებებით მიმართა.

აღნიშნულმა დაჯგუფებამ საბერძნეთში 200-მდე ბინა გაძარცვა და, საერთო ჯამში, 10 მილიონი ევროს ღირებულების ფული და ქონება გაიტაცა. საბერძნეთის პროკურატურის ცნობით, თუკი ვინმე რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო ინფორმაციას ფლობს დაკავებული და ძებნაში მყოფი პირების შესახებ, შეუძლიათ, მიმართონ პოლიციას, ანონიმურობა გარანტირებული იქნება. (rustavi2.com)

## „გოგონა, რომელმაც მეგობრის გადარჩენა მთხოვა, თავადაც საოპერაციო ყოფილა“



აღნიშნულის შესახებ, მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრის თავმჯდომარე, საფრანგეთის ქალაქ ბერჟერაკის მერიის მრჩეველი ნუგზარ სულაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

– იცით, რა არის ყველაზე დიდი ღირებულება ადამიანში? – ზრუნვა.

გოგონა, რომელმაც მეგობრის გადარჩენა მთხოვა, შემთხვევით გავიგე, რომ თავადაც საოპერაციო ყოფილა.

ცრემლი გამეჩხირა ყელში...

საიდან ამხელა სიკეთით სავსე გული, ბავშვებო? აკი ღმერთი დაივიწყესო? თავხედები არიანო? მამების თაობას აუჯანყდნენო?

**P.S.** დიახ, უნდა აგვიჯანყდეთ! აგვიჯანყდეთ და გვასწავლოთ სიკეთე, პატრიოტიზმიც და სიყვარულიც! მე თქვენ ყველანი მიყვარხართ.

მიყვარხართ ისეთები, როგორებიც ხართ: ჯინსებშემოხეულები, თუ პანკურად გადაღებილები; მიყვარხართ სვირინგიანები, ხმაურიანები; სიმართლეში პირდაპირნი და მოურიდებლები. მიყვარხართ ერთგულებას ნაზიარებლები. (news.ge)

## პაატა ბარათაშვილი — პარლამენტში ხუთი მსახიობი ვართ და არ მგონია, ეს ხუთი კაცი ვქმნიდეთ რაიმე უბედურებას



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობ პაატა ბარათაშვილის შეფასებით, ხალხმა უნდა აირჩიოს, ვინ უნდა პარლამენტში. როგორც ბარათაშვილმა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, ადამიანების პროფესიების მიხედვით დაყოფა არასწორია.

– პარლამენტში ხუთი მსახიობი ვართ და არ მგონია, ეს ხუთი კაცი ვქმნიდეთ რაიმე უბედურებას. ღმერთმა დამიფაროს, ის ადამიანი ვიყო, ვინც ასე ფიქრობს: თუ უმრავლესობაში არ ვიქნები, მაშინ ოპოზიციაში გადავალ. არავითარ შემთხვევაში! ხალხმა უნდა აირჩიოს, ვინ უნდა პარლამენტში. პოლიტიკოსობა პროფესია არ არის. პოლიტიკაში შედიხარ და უყურებ, რა მიმართულებით მიდის ქვეყანა. თუ უმრავლესობის წევრი ხარ, გუნდის წევრი ხარ, საერთო წესს უნდა დაემორჩილო და შენც რაღაც კორექტივი შეიტანო. საუბარი იმაზე, რომ რაკი მსახიობია, რაკი რეჟისორია... მაშინ რაკი ექიმია, რატომ უნდა შევიდეს პარლამენტში?! იურისტმა კულტურისა და ხელოვნების სფეროში ჩემზე ნაკლები იცის, რა სჭირდება თეატრს, ოპერას, მხატვრობას. ვფიქრობ, კულტურის სფეროში მე უფრო ჩახედული ვარ, რადგან აქედან ვარ წამოსული, – აცხადებს პაატა ბარათაშვილი.

დეპუტატი ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ მან პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისა და არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როცა ქვეყანას ყველაზე მეტად გაუჭირდა.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის განცხადებით, არსებული სიჭარბით მომავალ პარლამენტში, მათ რიგებში მსახიობებსა და სპორტსმენებს საზოგადოება აღარ იხილავს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება პიკს აღწევს

„მანამდე უფრო კარგი სახელი მქონდა, ვიდრე პარლამენტში შემოვიდოდი. რაც ამ ხნის განმავლობაში ხდება, ის რომ არ აღდგა სამართლიანობა, არის უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე, ადამიანები სამსახურს ვერ შოულობენ, ამ ყველაფერზე ხალხი გაგიჟდა... საერთოდ რაზე ლაპარაკობენ, რა პროფესიონალიზმის ნიშნით უდგებიან ესენი, გამაგებინეთ, ამ ეკონომისტებმა და იურისტებმა ხომააშენეს ქვეყანა“



ფაქტობრივად, სიტუაცია ზედმიწევნით აღწერა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკურმა მდივანმა გიგლა ბარამიძემ, ლამისაა ტყვიამფრქვევები დაუშინონ ერთმანეთს იმის გამო, ვინ მოხვდება სიაში... პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მეჭიაური უფრო შორს წავიდა და სკანდალური განცხადება გააკეთა. იგი „ქართული ოცნების“ დაშლის ინიციატივით გამოდის და აცხადებს: „იმისთვის, რომ ყველა პარტიამ მიიღოს თავისი დამსახურების შესაბამისი და არა იმდენი, რამდენიც ამბიცია აქვს, აჯობებს, განსაკუთრებით დიდი ამბიციების მქონე პარტიებმა დამოუკიდებლად მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა და ამით განისაზღვრება მათი რეალური რეიტინგი...“ რა თქმა უნდა, მეჭიაური, პირველ რიგში, „რესპუბლიკურ პარტიას“ გულისხმობდა, რომელიც ფაქტობრივად, „ქართული ოცნებას“ თავზე მოაჯდა. ამიტომაც იყო, რომ ვერ მოხერხდა მინისტრთა კაბინეტის ცვლა ახალი პრემიერის წარდგენის პირობებში, რადგან კულუარული ინფორმაციით, „რესპუბლიკური პარტია“ ოთხი სავარაუდო მოსახსნელი მინისტრის პორტფელს ითხოვდა. ეს კი უკვე მეტისმეტი იყო, რაც ნიშნავს, რომ ყოველგვარი ბრძოლისა და თავგანწირვის გარეშე ისინი აბსოლუტური რევანშით იღებდნენ ხელისუფლებას.

რა თქმა უნდა, ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ხელისუფლებაში ივანიშვილის ავტორიტეტით მოვიდნენ, მაგრამ პოლიტიკა – ეს არის ყველაზე ბინძური სფერო და ამავდროულად, ყველაზე ბინძური ბიზნესი, რომელმაც თავისი რეიტინგით ლამის გადაუსწრო ბინძური ბიზნესების ჩამონათვალს, როგორიც არის ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა. ერთადერთი შემთხვევაა, როცა მეჭიაურის განცხადება მოსაწონია, რეალური სიტუაცია კი ასეთია: თუკი „რესპუბლიკური პარტია“, „ფორუმი“, ან სხვა გათითოკაცებული პარტიები, რომლებიც დღეს კოალიციაში არიან, შეძლებენ, დამოუკიდებლად გადალახონ ბარიერი, კოალიციის შეკვრას პარლამენტში წინ არაფერი უდგას. როგორც მეჭიაური ამბობს, ეს იქნება სამართლიანი და თუკი სიებზე შეთანხმება ვერ შედგა, მაშინ ეს არის გამოსავალი, დაიშალოს კოალიცია, ცალ-ცალკე გამოვიდნენ არჩევნებზე და ბარიერის გადალახვით შეკრან კოალიცია. კვოტებიც იმის მიხედვით გაინაწილონ ხელისუფლებაში, ვინ რამდენ ხმას მიიღებს არჩევნებში. ის, რომ მეჭიაური ამ განცხადებას ერთპიროვნულად არ გააკეთებდა, ფაქტია. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილთან იყო საუბრები ამ თემაზე. არ არის გამორიცხული, საარჩევნო კამპანიის ფინიშის წინ ზუსტად ის პოლიტიკური კომბინაცია ვიხილოთ, რასაც მეჭიაური ახმოვანებს, თუმცა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რა სიას წარადგენს პარტია „ქართული ოცნება“ და რამდენად საინტერესო სახეები ეყოლება ამ სიაში.

სიის სკანდალის ავტორი ამ შემთხვევაში არის „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, რომელიც კატეგორიულად აცხადებს მომავალ პარლამენტში „ოცნების“ რიგებში ასეთი სიჭარბით მსახიობები და სპორტსმენები აღარ იქნებიან, აქცენტი გამოცდილ, დარგის პროფესიონალ ადამიანებზე გაკეთდებაო. ეს განცხადება არ იყო შეთანხმებული პარტია „ქართული ოცნების“ დეპუტატებთან, იმ სპორტსმენებთან და მსახიობებთან, ვისაც ირაკლი კობახიძე გულისხმობდა. ფაქტობრივად, ეს მიანიშნებს, რომ გუნდური თამაში ამ ძალისთვის უცხოა, არ არსებობს ერთმანეთისადმი პატივისცემა და „ქართული ოცნება“ წარმოადგენს რაღაც გაურკვეველ ჯოგს, ვინ საით მიერეკება, არავინ იცის. პოლიტიკის კეთებისგან ეს ძალა ისევე შორსაა, როგორც დედამიწა მარსისგან. მინიმუმ უხერხულია, როცა შენ თანაპარტიელებს პრესის ფურცლებით აგებინებ, რომ აღარ იქნებიან მომავალ საარჩევნო სიაში და ადამიანი ერთჯერადი გამოყენების მიზნად არ უნდა აქციო, რომელმაც თავისი ბრძოლით, სისხლით, წამებით მოგიყვანა აქამდე, სხვა საკითხია, რომ სპორტსმენებმა, მსახიობებმა, რეჟისორებმა და ასევე პროფესიონალმა პოლიტიკოსებმა მმართველ ძალაში ყოფნით არ გაამართლეს და ისინი კომიკურ ფიგურებად გამოიყურებიან. ასეთი სუსტი პარლამენტი საქართველოს ნამდვილად არ ჰყოლია, მაგრამ მეორეა, ადამიანს ღირსება არ უნდა შეულახო. უნდა შეგეძლოს იმდენი პოლიტიკური ლავირება, რომ ჯერ საკუთარ გუნდთან გაიარო კონსულტაცია და პრესით მერე ისაუბრო...

უმრავლესობის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი ირაკლი კობახიძეს თავშეკავებისკენ მოუწოდებს: ირაკლისა და სხვებს ვურჩევდი, ნაჩქარევ განცხადებებს ნუ გააკეთებენ, კანდიდატი პროფესიის მიხედვით კი არ ფასდება, არამედ ინტელექტუალური მონაცემების გათვალისწინებით... და რაც მთავარია, არ შეიძლება რაღაც დაპირისპირების ატმოსფერო შექმნა, ეს პოლიტიკურად გარდაბანში სვანების გაკონტროლება რთულია, ამიტომ შეარჩიეთ ნეიტრალური კანდიდატიო და ჯამარაული, მიუხედავად იმისა, რომ სპორტსმენია, შეირჩა იმ ნიშნით, რომ არ არის სვანი, არის ადგილობრივი და თანაც, მისი კანდიდატურის შერჩევა მოხდა ცაიტნოტში და მას პროტექციას უწევდა კახი კალაძე. აქვე კი ვიტყვი, რომ კახი კალაძის გავლენები ისევ ძლიერდება.

**„ალიას“ კითხვებს სოსო ჯაჭვლიანი პასუხობს:**

**— სოსო, ირაკლი კობახიძე ძალიან კატეგორიული იყო, რომ**

**„სამსახურებში ვერ მოხვდნენ ადამიანები, ვინც თავი გაწირეს „ოცნების“ გამო. ხოლო ისინი, ვინც ბუჩქებში იმალებოდნენ, დასაქმებულები არიან. ასეთი მხდალი ადამიანები დღეს თანამდებობაზე არიან. აი, ამას აკეთებს ჩემი გუნდი, მაგრამ ჩემი თანამებრძოლები განა იმისთვის იდგნენ ჩემ გვერდით, რომ გამარჯვების შემდეგ პირში პონჩიკს ჩავუდებდი, მათ თავი გაწირეს ქვეყნის უკეთესი უკეთესი მომავლისთვის და რა მიიღეს? – წიხლი!..“**

სწორი არ არისო. მოკლედ, „ქართულ ოცნებაში“ კულისებსმიღმა დაწყებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უკვე ღია და საჯარო ხდება და უნდა ველოდოთ მოვლენების მეტად დრამატიზებას.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე სოსო ჯაჭვლიანი „ალიასთან“ ინტერვიუში აღშფოთებას ვერ მალავს. ის საკმაოდ გულნატკენი, განაწყენებული პასუხობს ჩვენს კითხვებს და რაც მთავარია, „ალიასთვის“ ცნობილი ხდება, რომ კონკრეტულად სოსო ჯაჭვლიანი 2016 წლის საპარლამენტო სიაში ველარ მოხვდება. ასევე, ველარ მოხვდება ლუკა კურტანიძე, ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიადაური და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, სანდო წყარო ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა კატეგორიულად გააფრთხილა პარტიის ხელმძღვანელობა, არც ერთი სვანი და არც ერთი სპორტსმენი არ დამანახოთო, ეს კონკრეტული ფრაზები კი გარდაბანში გამგებლობის კანდიდატის დასახელების დროს ყოფილა ნათქვამი, ვინაიდან

**სპორტსმენები და მსახიობები სიაში ვეღარ მოხვდებიან, თითქოს, საპარლამენტო მუშაობა და ამ ხელისუფლების უნიათობა თქვენი ბრალია...**

– რა განცხადებაც ირაკლი კობახიძემ გააკეთა, აქედან ჩანს, რომ ის არის ძალიან ახალგაზრდა და წინ გარბის. ასეთი ჩანაფიქრი რომც იყოს, არ უნდა ეთქვა, თუკი მას პოლიტი-

გაგრძელება მე-11 გვ.

## პარიზში მოკლული თავდამსხმელი თავს ქართველად ასაღებდა



გასულ ხუთშაბათს პარიზში მოკლული თავდამსხმელი თავს ქართველად ასაღებდა. ამის შესახებ დასავლური მედია წერს.

დანით შეიარაღებული პირი პარიზში მდებარე პოლიციის ერთ-ერთ შენობას დაესხა თავს და „ისლამური სახელმწიფოს“ ლოზუნგებს სკანდირებდა. სამართალდამცველებმა თავდამსხმელი ადგილზევე გაანეიტრალეს.

როგორც **Nytime** წერს, მოგვიანებით გაირკვა, რომ თავდამსხმელი ტუნისელი ტარეკ ბელგასემი იყო, რომელიც საფრანგეთში გამგზავრებამდე გერმანიაში, თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში ცხოვრობდა. მან გერმანიის ხელისუფლებას თავშესაფრის მიღების თხოვნით რამდენიმეჯერ, 7 სხვადასხვა ვინაობით მიმართა. მათ შორის ერთ-ერთი განაცხადის შევსებისას მიუთითა, რომ საქართველოში იყო დაბადებული. (ნიუპოსტი)

## „ეკა ბესელია სინამდვილეში ქურდი და კორუმპირებულია“



შეწყალების კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი, თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი პარლამენტში, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე დასწრებას არ აპირებს. შეგახსენებთ, სხდომა პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული პირების მოთხოვნით, სავარაუდოდ, პარასკევს გაიმართება.

– მიზარებენ ეკა ბესელიას კომიტეტში საქმის გასარჩევად? ქურდია ეკა ბესელია? სინამდვილეში ქურდია და კორუმპირებულია, მაგრამ ასეთ დაბარებულზე, არასერიოზულ განხილვებზე მისვლას არ ვაპირებ. ამდენად, ვურჩევ ამ პოლიტპატიმრებს, ვისაც მართლა ეკუთვნოდათ პოლიტპატიმრის სიით გამოსვლა, რომ დაშოშმინდნენ, დაწყნარდნენ და ნუ გამოაყენებინებენ თავს, – განაცხადა ელისაშვილმა. (პირველი რადიო)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ახალი წელი გურიაში
2. სამკურნალო მცენარე
3. ირანში: ... ჰომეინი
4. ფულადი გათამაშება
5. სამხედრო ფორმის შარვალი
6. მსახიობი ... დეიმონი
7. ქიმიური ინდიკატორი
8. სისხლის მწოველი მწერი
9. საწვიმარო მოსასხამი
10. იაპონური ჭიდაობა
11. ბავშვის საჭმელი
12. ... კაცი უკანა კაცის ხიდიაო
13. სამშენებლო მასალა
14. მწერალი მიხეილ ...
15. ხელის გული თითებიანად
16. მსახიობი ემანუელ ...
17. თევზის ჯიში
18. „ბითლზი“ ჯონ ...
19. უესლი სნაიპსი ფილმში
20. პოეტი ... ალიგიერი
21. ქვეყნის მთავარი ქალაქი
22. რა გაჭრა პეტრემ ევროპაში
23. ბგერის გრაფიკ. გამოსაწულება
24. საესტრადო ინსტრუმენტი
25. დოსტოევსკი. „ძმები ...“
26. სავაჭრო მაგიდა
27. ნეტარ ... მორწმუნენი
28. ნივთიერება. გამოიყოფა შიშის დროს
29. სიყვარულის ღმერთი ბერძ.მით.
30. დაკოდილი ცხენი
31. ივლისის ხალხური სახელწ.
32. „ბერნარდა ... სახლი“
33. მოდელი ... კროუფორდი
34. კენიის დედაქალაქი
35. სახის ნაწილი
36. მოკლე პალტო
37. მხ/ფ „განგაში“ გოგი ქავთარაძე
38. ტენორი ხოსე ...
39. პურის სოკო
40. პოლონელი კომპოზიტორი
41. ქართ. ესტრადის მომღერალი
42. ... ჩიბურდანიძე
43. ...-კლარჯეთი
44. ფასიანი სააქციო ქაღალდი
45. პრეზიდენტი ... იბამა
46. ქალაქი იაპონიაში
47. „... თომას ქოხი“
48. ანწლი
49. „... კონგენიალურობა“
50. მსახ. ... კოლელიშვილი
51. საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში
52. ერთგვარი პეპელა
53. აქლემების მწკრივი უდაბნოში
54. „საბუდარელი ჭაბუკი“ უშანგი გაბადაძის როლში გივი ...
55. მისი დედაქალაქია ბრიუსელი
56. ბიბლიური მოსეს ძმა
57. სახელმწიფო აზიაში
58. ვერდის ოპერა
59. მსახიობი ანუკ ...
60. ტყის სული
61. მომღერალი ... მეფარიძე
62. სასულე ინსტრუმენტი
63. ცისარტყელას ფერი
64. ბრძენი ქალი რუსულ ზღაპრებში
65. იაპონური თაიგული
66. მდინარე ორინოკოს ველი
67. წყლის საღებავი
68. ჩრდილოეთის ირემი
69. ხსნადი ყავის ბრენდი
70. ოთხიანი ნარდში
71. მცენარე. ხდიან ტეკილას
72. სანელებელი
73. ბოშათა საბჭოთა თეატრი
74. სანოტო სისტემის ფრჩხილი
75. მსახიობი ... ნოლტი
76. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
77. სუბტროპიკული მცენარე
78. მეფე ვახტანგ ...
79. მდინარე დას. საქართ.
80. ბილიარდის ჯოხი
81. სპორტის სახეობა
82. კუნძული ატლანტის ოკეანეში
83. გრძელტარიანი სასმისი
84. დრამატურგი ... დე ვეგა
85. მწერალი ფრანც ...
86. მულტფილმი „... პინგვინები“
87. სანელებელი
88. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
89. ფილიპინების დედაქალაქი
90. მომღერალი ბობ ...
91. ვიეტნამის დედაქალაქი
92. დიზაინერი ჯორჯო ...
93. „ჩემი ცოლის დაქალები“ პერსონაჟი
94. „წითელი“ პლანეტა
95. ეგვიპტის ფარაონთა დინასტია
96. წამწამის ძირის ანთება
97. მსახ. ... უიზერსპუნი
98. თაღი
99. გულსაბნევი
100. დაჭრილი თამბაქო
101. ვაჟა-ფშაველა. „... წიფელი“
102. ექსპრომტი
103. ზამთრის სპორტის სახეობა
104. სულხან-... ორბელიანი
105. ... პუგაჩოვა
106. ნადირობა აფრიკაში
107. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
108. შეხვედრა, ანუ ...
109. ნოდარ დუმბაძის რომანი
110. მწერალი ვიტალი ...
111. ჯადოქრობა
112. მსახიობი სილვესტერ ...
113. ... შეიქმს სიყვარულსა
114. საკულტო ტაძარი ბაბილონში
115. ქალაქი სომხეთში
116. მსახიობი შერონ ...
117. შხამიანი მწერი
118. ... ხრენნიკოვი
119. სოფელი მარტვილის რაიონში
120. ცხვრების ერთობლიობა
121. სიბრტყეზე ამოზნექილი ფიგურა
122. ხელოვნური ვარცხნილობა
123. მსახიობი ... ხაფავა
124. თანხმობის ფორმა
125. მომღერალი ... რიდი
126. შალის საპალტოე ქსოვილი
127. გამის ნოტი
128. ... ფონ ბისმარკი
129. „გაზაფხული შემოსულა ...“
130. მწერალი არტურ კონან ...
131. ... მოგივა დავითაო
132. დედამიწის უსწორმასწორობა
133. მუხის ნაყოფი
134. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში
135. მხატვარი ... ჯაფარიძე
136. რომის პაპის გვირგვინი
137. სველი, ნამიანი
138. ქურდის ... ცხონდაო
139. ... გაფრინდაშვილი
140. „დათა თუთაშხია“ თაყაიშვილი
141. იუპიტერის თანამგზავრი

პასუხები: 1. კალანდა; 2. კატაბალახა; 3. აიათოლა; 4. ლატარია; 5. გალიფე; 6. მეთ; 7. ლაკმუსი; 8. კოლო; 9. ლაბადა; 10. სუმო; 11. ფაფა; 12. წინა; 13. ალებასტრი; 14. ჯავახიშვილი; 15. ნები; 16. ბეარი; 17. ქარიყლაპია; 18. ლენონი; 19. „ბლეიდი“; 20. დანტე; 21. დედაქალაქი; 22. ფანჯარა; 23. ასო; 24. კონტრაბასი; 25. კარამაზოვები; 26. დახლი; 27. არიან; 28. ადრენალინი; 29. ეროტი; 30. იაბო; 31. მკათათვე; 32. ალბას; 33. სინდი; 34. ნაირობი; 35. ყბა; 36. მანტო; 37. ყარამანი; 38. კარერასი; 39. ობი; 40. შოპენი; 41. სტეფანე; 42. მაია; 43. ტაო; 44. ვაუჩერი; 45. ბარაკ; 46. ნაგასაკი; 47. ბიძია; 48. ავი; 49. მის; 50. ზაზა; 51. ოსვენციმი; 52. ფარვანა; 53. ქარავანი; 54. თოხაძე; 55. ბელგია; 56. აარონი; 57. ფილიპინები; 58. „ნაბუქო“; 59. ემე; 60. ელფი; 61. აჩი; 62. ფრეიტა; 63. იისფერი; 64. ვასილისა; 65. იკებანა; 66. ლიანოსი; 67. აკვარელი; 68. მარალი; 69. „ნესკაფე“; 70. ჩარი; 71. აგავა; 72. დარიჩინი; 73. „რომენი“; 74. აკოლადა; 75. ნიკ; 76. იკაროსი; 77. სორგო; 78. გორგასალი; 79. რიონი; 80. კიი; 81. კრივი; 82. ისლანდია; 83. აზარფეშა; 84. ლოპე; 85. კაფკა; 86. მადაგასკარი; 87. მარილი; 88. სირ; 89. მანილა; 90. მარლი; 91. ჰანოი; 92. არმანი; 93. ნინა; 94. მარსი; 95. რამზესი; 96. ჯიბლიბო; 97. რიზ; 98. არკა; 99. ბროში; 100. ბურნუთი; 101. ხმელი; 102. კაფია; 103. ბიათლონი; 104. საბა; 105. ალა; 106. საფარი; 107. ათი; 108. რანდევუ; 109. „კუკარაჩა“; 110. ბიანკი; 111. მაგია; 112. სტალონე; 113. შიში; 114. ზიკურათი; 115. სპიტაკი; 116. სტოუნი; 117. კელა; 118. ტიხონ; 119. ბანძა; 120. ფარა; 121. ბარელიეფი; 122. პარიკი; 123. ბერტა; 124. კი; 125. დინ; 126. დრაფი; 127. სი; 128. ოტო; 129. ლენ; 130. დოილი; 131. რაც; 132. რელიეფი; 133. რკო; 134. ერდო; 135. უჩა; 136. ტიარა; 137. ნოტიო; 138. ქურდი; 139. ნონა; 140. ასინეთა; 141. იო. იკითხება: ახალ წელს ახალი წარმატებები.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. არამისი, ათოსი, ...
2. სანელებელი
3. ძაღლის ჯიში
4. ნიშნავს ჩირქოვანს
5. ავიტამინოზის ფორმა
6. კინოხელოვნება, ანუ ...
7. ესტონეთის დედაქალაქი
8. ნუშის ლიქიორი
9. მაღალმოლეკულური ნერთი
10. მსახიობი ... გოლდბერგი
11. მხატვარი პოლ ...
12. მკაცრი ცხოვრების წესის მიმდევარი
13. მსახ. ... ბერიკაშვილი
14. პომიდვრის ნერგი
15. მხ/ფ „... მოტაცება“
16. კავშირებითი სიტყვა
17. ზღვაოსანი ფერნანდო ...
18. შეჯიბრების ადგილი
19. დონ კიხოტის ცხენი
20. ფეხბურთელი ფაბრიციო ...
21. „ბითლზი“ ჯონ ...
22. სოფელი ხაშურის რაიონში
23. მხ/ფ „... ჩამოვიდნენ მთიდან“
24. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
25. მსახიობი ჯულია ...
26. აკიმის ბაბუა
27. ... ტოლსტოი
28. მთათა სისტემა ევროპაში
29. დროშა
30. რა ცხოველი იყო კიპლინგის რიკი-ტიკი-ტავი
31. ძვირფასი ქვა
32. სასანთლე
33. სინი
34. ოსმალეთის არმიის ქვეითი ჯარისკაცი
35. მომღერალი ... ვაიკულე
36. ვერცხლისწყლის ნაერთი ლითონთან
37. ლოტოს მსგავსი თამაში
38. მოჭადრაკე ქეთევან ...
39. კიდურის მოხრის ადგილი
40. თევზის ძვალი
41. ფოლადის სადნობი ღუმელი
42. შვედური საესტრადო ანსამბლი
43. სავარცხლიანი ფრინველი
44. სახის ნაწილი
45. „... ჭკუისაგან“
46. ფიქრები მომავალზე
47. ზამთრის თვე
48. მომღერალი ... სტიუარტი
49. დაბა მდინარე ხობზე
50. ძვირფასი წითელი ქვა
51. ფილოსოფოსი ემანუილ ...
52. მოკლე კაბა
53. თქმულება ღმერთებზე
54. შხამიანი ბაყაყი
55. ... მტრობას დაუნგრევია
56. უსინათლოების ანბანი
57. „12 სკამი“ ოსტაპ ...
58. ურუგვაის დედაქალაქი
59. ბრონტე. „ჯეინ ...“
60. მსახ. ... მარლაკელიძე
61. იუდა ...
62. მდინარე კახეთში
63. სწრაფად გათამაშ. ჭადრაკის პარტია
64. ხორცი ბავშვის ენაზე
65. დაზგა
66. გველის ხმიანობა
67. მისი დედაქალაქია თეირანი
68. სოფლის ტრანსპორტი
69. მან შეისწავლა რეფლექსები
70. კეთრი
71. ხის ჯიში
72. „კაცია ადამიანი“ პერსონაჟი
73. „... ის ბიჭი ვარ ხუჭუჭა პატარა“
74. რომის პაპის გვირგვინი
75. ორსახა ღმერთი
76. ლითონი
77. სამშენებლო მასალა
78. მამითადი
79. ქალაქი იმერეთში
80. პირის ნაცვალსახელი
81. ლეშისმჭამელი ფრინველი
82. შენობის წინხედი
83. მოჭიდავე ზოგადად
84. რაჯ კაპური ფილმში
85. რეჟისორი ალფონსო ...
86. მტაცებელი ცხოველი აფრიკაში
87. ჯემალ ჭკუასელის ანსამბლი
88. ვაჟა ფშაველა. „ჩხიკვთა ...“
89. წყლის გრაციოზული ფრინველი
90. საკანი
91. ლონდონის ცენტრი
92. სპექტაკლი „ძველი ...“
93. ყურძნის ჯიში
94. ლითონი
95. ფიცი მწამს ... მაკვირვებს
96. საფრენი აპარატი
97. მეამბოხე ... პუგაჩოვი
98. პატარა მრგვალი პური
99. ძველი წიგნებით მოვაჭრე
100. პატარა ნავი გემზე
101. სოფელი გულრიფშის რაიონში
102. მსახიობი ... მერფი
103. პურის სოკო
104. საკანცელარიო ნივთი
105. ყურე
106. მცენარე. ამზადებენ მწნილს
107. ლურჯი საღებავი თეთრეულისათვის
108. ხრახნი
109. რა დაისმის წინადადების ბოლოს
110. კაზინო
111. ნამუსი
112. გულღვიძლი
113. მსახიობი ... არდანი
114. ჩვენთან .. ღმერთი
115. მსახიობი ... მონტანი
116. სამწლიანი ცხენების დოღი
117. ხილის წვენი
118. მასობრივი გადარბენა
119. მდინარე გერმანიაში
120. ავსტრიის დედაქალაქი
121. ბედი
122. ნიავი
123. გოგოლის მოთხრობა
124. ჯგუფის მოწინავე ადამიანი
125. სპორტის სახეობა
126. მელამ თავისი ... მოწმედ მოიყვანაო
127. მსახიობი სტივ ...
128. ჩონჩხის მაწილი
129. ქალაქი უკრაინაში
130. „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
131. მეტყველების ორგანო
132. ... გაფრინდაშვილი
133. მდ. სანკტ-პეტერბურგში
134. ... ჭავჭავაძე
135. რევაზ ლაღიძის ოპერა
136. ვაჟიშვილი
137. ღამის ფრინველი
138. რიცხვი 3,14
139. კირიანი დუღაბი
140. ფრანგი მხატვარი
141. პატარა ტანის ძაღლი
142. მსახიობი ... აბაშიძე
143. ... მორჩილაძე
144. მსახიობი ... კახიანი

პასუხები: 1. პორთოსი; 2. წიწაკა; 3. პეკინესი; 4. პიო; 5. სურავანდი; 6. კინემატოგრაფი; 7. ტალინი; 8. ამარეტო; 9. პოლიმერი; 10. ვუპი; 11. სეზანი; 12. პურიტანი; 13. გივი; 14. ჩითილი; 15. მთვარის; 16. რომ; 17. მაგელანი; 18. ასპარეზი; 19. როსინანტი; 20. რავანელი; 21. ლენონი; 22. ქვიშხეთი; 23. ისინი; 24. ნაგომარი; 25. ორმონდი; 26. პიპინია; 27. ლევ; 28. ალპები; 29. ალამი; 30. მანგუსტი; 31. საფირონი; 32. შანდალი; 33. ლანგარი; 34. იანიჩარი; 35. ლაიმა; 36. ამალგამა; 37. ბინგო; 38. არახამია; 39. სახსარი; 40. ფხა; 41. მარტენი; 42. „აბბა“; 43. ოფოფი; 44. ყბა; 45. ვაი; 46. იუნგა; 47. თებერვალი; 48. როდ; 49. ჩხოროწყუ; 50. აყიყი; 51. კანტი; 52. მინი; 53. მითი; 54. აგა; 55. რაც; 56. ბრაილი; 57. ბენდერი; 58. მონტევიდეო; 59. ეარი; 60. ხვიჩია; 61. ისკარიოტელი; 62. იორი; 63. ბლიცი; 64. ჩიჩია; 65. ჩარხი; 66. სისინი; 67. ირანი; 68. ურემი; 69. პავლოვი; 70. ლეპრა; 71. ტირიფი; 72. ლუარსაბი; 73. ისევ; 74. ტიარა; 75. იანუსი; 76. რკინა; 77. აგური; 78. ნადი; 79. ხონი; 80. მე; 81. სვავი; 82. ფასადი; 83. ფალავანი; 84. „ავარა“; 85. არაუ; 86. აფთარი; 87. „ერისიონი“; 88. ქორწილი; 89. გედი; 90. დილეგი; 91. სიტი; 92. ვოდევილები; 93. თითა; 94. ნიკელი; 95. ბოლოო; 96. დირიჟაბლი; 97. ემელიანე; 98. კვერი; 99. ბუკინისტი; 100. კანჯო; 101. დრანდა; 102. ედი; 103. ობი; 104. რვეული; 105. უბე; 106. ჯონჯოლი; 107. ლილა; 108. ვინტი; 109. წერტილი; 110. სამორინე; 111. სინდისი; 112. ჯიგარი; 113. ფანი; 114. არს; 115. ივ; 116. დერბი; 117. ვაჟინი; 118. კროსი; 119. რაინი; 120. ვენა; 121. სვე; 122. სიო; 123. „ვიი“; 124. ლიდერი; 125. კრივი; 126. კუდი; 127. მარტინი; 128. მენჯი; 129. ოდესა; 130. დეა; 131. ენა; 132. ნონა; 133. ნევა; 134. ილია; 135. „ლელა“; 136. ძე; 137. ბუ; 138. პი; 139. ქვიტკირი; 140. მილე; 141. ფინია; 142. ლეილა; 143. აკა; 144. იმედა. იკითხრბა: მილა იოვოვიჩი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. „საქორწილო მარშის“ კომპოზიტორი
2. ფედერიკო ფელინის ფილმი
3. ყვავილი
4. ოჯახი, ანუ ...
5. კუდიანი ვარსკვლავი
6. რას ყიდულობენ კინოში შესასვლელად
7. გამყიდველი
8. იტალიის კუნძული
9. ღვინის ჩამომსხმელი
10. ქალაქი იტალიაში
11. კომპიუტე-რის ეკრანი
12. სამაგიდო თამაში
13. მომღერალი თაკო ...
14. ჩრდილი
15. ჭავჭავაძე. „კაცია ...?!“
16. მომღერალი ... ჯაბუა
17. საოპერო პარტია
18. სახელმწიფო აფრიკაში
19. მისი დედაქალაქია ტოკიო
20. შტატი აშშ-ში
21. საბჭოურ ეკონომიკაში: ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ ...
22. სანელებელი
23. ჰემინგუეი. „... თოვლიანი მთა“
24. ნავთიერება. ინახავენ შალეულს
25. ფაშვის წვნიანი
26. კომპოზიტორი არამ ...
27. კისერი (კუთხ.)
28. ჯეიმს კამერონის ფილმი
29. თვალის გუგა
30. ერთგვარი გრძელი ყელსახვევი
31. მეჩეთი ...-სოფია
32. დაბა. აწარმოებენ შაქარს
33. იტალიური ყველი
34. ... შეჯდა მწყერი ხესა, ... იყო გვარი მისი
35. ტყის მასივი ციმბირში
36. მსახიობი რობერტ დე ...
37. შუშა
38. კომბოსტოს სახეობა
39. სწავლება წამლების შესახებ
40. მსახიობი მელ ...
41. ბრედ პიტი ფილმში
42. ესტონეთის დედაქალაქი
43. ქალაქი გერმანიაში
44. ჰომეროსის პოემა
45. მტრის ზურგში მეომარი
46. ბუდისტი მასწავლებელი
47. უძველესი აკადემია ქუთაისთან
48. ოპერა „ევგენი ...“
49. ტაბლეტი
50. მსახიობი ბენ ...
51. უნივერსიტეტი ...-მატერი
52. ლერწმის საჭრელი დანა
53. სამკურნალო მცენარე
54. ნიშნავს საწინააღმდეგოს
55. კეთრი
56. ოპერა „სევილიელი ...“
57. ხმლის ბუდე
58. რეჟისორი ... ჰოვარდი
59. ბარდი ალექსანდრე ...
60. ძვ. თბილისური მიმართვა
61. ტუალეტის წყალი
62. ქალაქი, სადაც გარდაიცვალა ნიკოლოზ ბარათაშვილი
63. მწერალი არტურ კონან ...
64. მკითხავი
65. ნაგებობა მდინარეზე
66. მცენარე. ამზადებენ მწნილს
67. მხატვარი ედუარდ ...
68. ... მორჩილაძე
69. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
70. პორტუგალიის დედაქალაქი
71. რეჟისორი მარტინ ...
72. მათემატიკური უცნობი
73. მსახიობი ანჯელინა ...
74. მედიცინის დარგი. სწავლობს ხერხემალს
75. კათიონი და ...
76. ლარს ფონ ტრიერის ფილმი
77. სათამაშო კოჭის მხარე
78. კურორტი ბულგარეთში
79. მიმსგავსება, ანუ ...
80. მსახიობი მარინა ...
81. ინსტიტუტის მოსწავლე
82. მხ/ფ „... კონგენიალურობა“
83. ლითონის ფული
84. ქალაქი კოლხეთის დაბლობზე
85. მტაცებელი ფრინველის ფრენა
86. მისი დედაქალაქია რომი
87. მომღერალი სელინ ...
88. ტყის ფრინველი
89. მოხარშული ზეთი
90. სასეირნო გემი
91. გამოუსვლელი ადამიანი
92. რეჟისორი გიორგი ...
93. წამლის ჩასაწვეთებელი მილაკი
94. იაპონური თაიგული
95. მომღერალი ... კუტუნიო
96. იაპონური თეატრი
97. იუველირი
98. სპორტის სახეობა
99. ექსპრეზიდენტი ბილ ...
100. „შერეკილები“ ... კუჭუხიძე
101. თეატრალური განცხადება
102. მხ/ფ „... და შვილიშვილები“
103. მომღერალი ... პიეხა
104. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
105. კარებში გატანილი ბურთი
106. მხატვარი ... ოქროპირიძე
107. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
108. მოაჯირიანი ასასვლელი
109. პურეულის შესანახი შენობა
110. ფურცლის დაკეცვის იაპონური ხელოვნება
111. კომპოზიტორი ნინო ...
112. ცხენბურთი
113. ქალაქი საფრანგეთში
114. მსახიობი ... პარადი
115. „მატრიცა“ ჰაკერი
116. ერთგვარი პეპელა
117. ვაქცინაცია
118. სხეულის ნაწილი
119. შტატი აშშ-ში
120. მწერალი ... კიპლინგი
121. ორელექტროდიანი მილაკი
122. ხორბლის ყვავილედი
123. ცეკვა მულენრუჟში
124. „მაუგლი“ მგელი
125. ტენორი მარიო ...
126. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
127. მსახ. ... ბეგაშვილი
128. „... ოკეანის საიდუმლოება“
129. მსახიობი ... ჭიჭინაძე
130. სამაგიდო თამაში
131. ჭირი იქა, ლხინი ...
132. მსახიობი ... ჟირარდო
133. ეპოქა, ხანა
134. სირაქლემას სახეობა
135. თაფლიანი ცვილი
136. თვლემა
137. „რა? ...? როდის?“
138. მწერალი ალექსანდრე ...
139. უბედურების მაუწყებ. სიგნალი
140. რითია ცნობილი აქილევსი
141. ფალიაშვილის ოპერა
142. მსახიობი ბრიუს ...
143. მწერალი ემილ ...
144. იაპონური თეატრი

პასუხები: 1. მენდელსონი; 2. „რვანახევარი“; 3. ქრიზანთემა; 4. კერია; 5. კომეტა; 6. ბილეთი; 7. ნოქარი; 8. სიცილია; 9. მერიქიფე; 10. ნეაპოლი; 11. მონიტორი; 12. ნარდი; 13. გაჩეჩილაძე; 14. ლანდი; 15. ადამიანი; 16. მაია; 17. არია; 18. სენეგალი; 19. იაპონია; 20. ალაბამა; 21. ნეპი; 22. დარიჩინი; 23. კილიმანჯაროს; 24. ნაფტალინი; 25. ხაში; 26. ხაჩატურიანი; 27. კინჩხი; 28. „ავატარი“; 29. ბაია; 30. ბოა; 31. აია; 32. აგარა; 33. პარმეზანი; 34. არა; 35. ტაიგა; 36. ნირო; 37. მინა; 38. კოლრაბი; 39. ფარმაკოლოგია; 40. გიბსონი; 41. ტროა; 42. ტალინი; 43. ლაიფციგი; 44. „ილიადა“; 45. პარტიზანი; 46. გურუ; 47. გელათი; 48. ონეგინი; 49. აბი; 50. აფლეკი; 51. ალმა; 52. მაჩეტე; 53. ასკილი; 54. ანტი; 55. ლეპრა; 56. დალაქი; 57. ქარქაში; 58. რონ; 59. როზენბაუმი; 60. ტო; 61. ოდეკოლონი; 62. განჯა; 63. დოილი; 64. მარჩიელი; 65. ხიდი; 66. ჯონჯოლი; 67. მანე; 68. აკა; 69. ჩილე; 70. ლისაბონი; 71. სკორსეზე; 72. იქსი; 73. ჯოლი; 74. ორთოპედია; 75. ანიონი; 76. „დოგვილი“; 77. ალჩუ; 78. ვარნა; 79. იმიტაცია; 80. ვლადი; 81. სტუდენტი; 82. მის; 83. მონეტა; 84. ფოთი; 85. ირაო; 86. იტალია; 87. დიონი; 88. საშვი; 89. ოლიფა; 90. იახტა; 91. ტეტია; 92. დანელია; 93. პიპეტი; 94. იკებანა; 95. ტოტო; 96. ნო; 97. ოქრომჭედელი; 98. რაგბი; 99. კლინტონი; 100. ნოშრევან; 101. აფიშა; 102. დიდედები; 103. ედიტა; 104. ინდიგო; 105. გოლი; 106. ნელი; 107. პიანო; 108. კიბე; 109. ბეღელი; 110. ორიგამი; 111. როტა; 112. პოლო; 113. ჰავრი; 114. ვანესა; 115. ნეო; 116. ფარვანა; 17. აცრა; 118. თავი; 119. ნევადა; 120. რედიარდ; 121. დიოდი; 122. თავთავი; 123. კანკანი; 124. აკელა; 125. ლანცა; 126. ონისე; 127. შორენა; 128. ორი; 129. დოდო; 130. ნარდი; 131. აქა; 132. ანი; 133. ერა; 134. ნანდუ; 135. ფიჭა; 136. რული; 137. სად; 138. დიუმა; 139. სოს; 140. ქუსლი; 141. „დაისი“; 142. ლი; 143. ზოლა; 144. კაბუკი. იკითხება: მონიკა ბელუჩი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ებრაული სალოცავი ტაძარი
2. ჯონათან სვიფტის გოლიათი
3. მსახიობი იური ...
4. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
5. ჩილეს დედაქალაქი
6. წარმოდგენა ბიბლიურ თემაზე
7. იჯარა
8. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
9. რუსი სელექციონერი
10. ღვიძლის ძეხვი
11. მსახიობი დრიუ ...
12. იაპონელი თვითმკვლელი
13. ინდური კაბა
14. მხატვარი ... გრეკო
15. პოპკორნი
16. „მზიური ... სერენადა"
17. მსახიობი ჯეისონ ...
18. ერთი ეკლესიის მომლოცველები
19. ქიაჩელი. „... აძბა"
20. ძალიან ტკბილი ნივთიერება
21. მისი დედაქალაქია რომი
22. ლონდონის ცენტრი
23. მსახიობი შონ ...
24. მსახიობი ... ასანტე
25. „ინჟინერ ... ჰიპერბოლოიდი"
26. კაციჭამია
27. ცხიმის გამოსახდელი ხელსაწყო
28. ნუსხა
29. ფსიქიატრი ავლიპი ...
30. ზღვრული ნორმა
31. ძაღლის ჯიში ...-პინჩერი
32. პატრუქიანი თოფი
33. კურტ კობეინის ანსამბლი
34. მსახიობი ვიქტორ ...
35. გამადიდებელი მინა
36. ქალაქი პოლონეთში
37. წერილი (ძვ.)
38. დრამატურგი ... დე ვეგა
39. ხერხემლის გაღუნვა წინისკენ
40. მამაკაცი ქალის გვერდით
41. ძველი ეგვიპტის დედოფალი
42. მსახიობი ჰოლი ...
43. პოეტი ... ფოცხიშვილი
44. დიდი ჩაქუჩი
45. ჯეიმს კამერონის ფილმი
46. მსახიობი ... ბარდო
47. ქართული სათვისტომო პარიზთან
48. სად დგამენ საფრთხობელას
49. კომპოზიტორი ... გაბუნია
50. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
51. აზოტშემცველი სასუქი
52. შექსპირი. „მეფე ..."
53. ნიშნავს საშუალოს
54. მსახ. ... ღაღანიძე
55. მსახიობი ჯიმ ...
56. ტიბეტური ხარი
57. ძველი ნახატის აღდგენა
58. რბოლა
59. ქალის შიდა სამოსი
60. ინერტული აირი
61. დათვის ნაშიერი
62. რბილი ლითონი
63. ფიგურისტი ლიუდმილა ...
64. მსახიობი ჯენიფერ ...
65. მენდელსონი. „საქორწილო ..."
66. მსახიობი ... ჩურიკოვა
67. ძვ. ქართული ცხენოსნობა
68. რეჟისორი ... სკოლა
69. რგოლოვანი ორგანიზმი ვაშლში
70. მსახიობი ენდი ...
71. ბიბლიური მოსეს ძმა
72. ტენორი ... ლანცა
73. ეთიოპიის დედაქალ. ...-აბება
74. ოპერა „... გიუნტი"
75. კარტოფილის კერძი
76. მხ/ფ „უცხო" ლეიტენანტი ...
77. ...-კლარჯეთი
78. ყვავილი
79. „დიდოსტატის მარჯვენა" პერსონაჟი
80. ზღაპრული ფრინველი
81. მაღალი სვეტი წარწერით
82. სამთა მმართველობა
83. ბარონის მეუღლე
84. ნაკურთხი წყალი
85. მსახიობი მონიკა ...
86. სრუტე ატლანტის ოკეანეზე
87. შტატი აშშ-ში
88. მსახიობი ... ლონგორია
89. მუსიკალური ფორმა
90. მაგნიტი
91. თამბაქოს მოსაწევი ხელსაწყო
92. დაცლილი ვაზნა
93. მარადმწვანე ბუჩქი
94. მსახიობი ... ოლდმენი
95. გრძელი კბილი
96. უსაფუვროდ გამომცხვარი პური
97. მსახიობი ... გარდნერი
98. შეიარაღებული გადატრიალება
99. შტატი აშშ-ში
100. წონის ძველებ. ერთეული
101. მგალობელი ფრინველი
102. ქალაქი ესპანეთში
103. ჩანთოსანი ცხოველი სამხ. ამერიკაში
104. ქალაქი სამეგრელოში
105. ... დაიჭირავს სიკვდილსა
106. მსახიობი ... ნილი
107. დედალი ღორი
108. ... მაიაკოვსკი
109. ბამბუკის დათვი
110. ტყემლის სანელებელი
111. რუსეთში: .. ქუდი
112. ქალაქი აშშ-ში
113. ზანდუკი
114. რუსი კომპოზიტორი
115. საქონლის პატივი
116. ხორთუმიანი ცხოველი
117. ღამის ფრინველი
118. მარცვლოვანი მცენარე
119. განთიადი
120. სპორტის სახეობა
121. ქართ. ფილმი ზღაპარი
122. წითელი პლანეტა
123. ნილოსის დუმფარა
124. ჯამის ფორმის სასმისი
125. მდინარის დატოტვილი შესართავი
126. მსახიობი ... ბანდერასი
127. ბალეტი „გედების ..."
128. გადაშენებული ფრინველი
129. ბანქო, ანუ ...
130. ქალაქი რაჭაში
131. ყვავილი
132. სოფელი დუშეთის რაიონში
133. შრომა
134. მსახიობი ... ნოლტი
135. აზრი
135. ღირებულება
136. ბედი
137. მომღერალი ... სტიუარტი
138. ...-დე-ჟანეირო
140. ჭრილი ბანიანი სახლის სახურავში
141. აჩრდილი
142. ინდონეზიის კუნძული
143. მწერალი ... დე მოპასანი
144. მოდელი ... კროუფორდი

პასუხები: 1. სინაგოგა; 2. გულივერი; 3. ნიკულინი; 4. ენოტი; 5. სანტიაგო; 6. მისტერია; 7. არენდა; 8. ძიმითი; 9. მიჩურინი; 10. ლივერი; 11. ბერიმორი; 12. კამიკაძე; 13. სარი; 14. ელ; 15. ბატიბუტი; 16. ველის; 17. სტეტჰემი; 18. მრევლი; 19. ჰაკი; 20. ქსილიტი; 21. იტალია; 22. სიტი; 23. კონერი; 24. არმან; 25. გარინის; 26. ოგრი; 27. სეპარატორი; 28. სია; 29. ზურაბაშვილი; 30. ლიმიტი; 31. დობერმან; 32. არკებუზი; 33. „ნირვანა"; 34. ლანუ; 35. ლუპა; 36. კრაკოვი; 37. უსტარი; 38. ლიეპა; 39. ლორდოზი; 40. კავალერი; 41. კლეოპატრა; 42. ბერი; 43. მორის; 44. ურო; 45. „ტიტანიკი"; 46. ბრიჯიტ; 47. ლევილი; 48. ბოსტანი; 49. ნუნუ; 50. ორანგუტანგი; 51. ნიტრატი; 52. ლირი; 53. მეცო; 54. ჯემალ; 55. კერი; 56. იაკი; 57. რესტავრაცია; 58. ჯირითი; 59. პანტალონი; 60. ნეონი; 61. ბელი; 62. კალა; 63. როდნინა; 64. ლოპესი; 65. მარში; 66. ინა; 67. ისინდი; 68. ეტორე; 69. მატლი; 70. გარსია; 71. აარონი; 72. მარიო; 73. ადის; 74. პერ; 75. პიურე; 76; რიპლი; 77. ტაო; 78. იასამანი; 79. არსაკიძე; 80. ფასკუნჯი; 81. სტელა; 82. ტრიუმვირატი; 83. ბარონესა; 84. აიაზმა; 85. ვიტი; 86. გიბრალტარი; 87. ინდიანა; 88. ევა; 89. რონდო; 90. ანდამატი; 91. ნარგილე; 92. მასრა; 93. ტუია; 94. ჰარი; 95. ეშვი; 96. ხმიადი; 97. ავა; 98. რევოლუცია; 99. ჰავაი; 100. უნცია; 101. იადონი; 102. ბარსელონა; 103. ოპოსუმი; 104. აბაშა; 105. ვერ; 106. სემ; 107. ნეზვი; 108. ვლადიმერ; 109. პანდა; 110. ომბალო; 111. მონომახის; 112. ბოსტანი; 113. სკივრი; 114. ბოროდინი; 115. ნაკელი; 16. სპილო; 117. ბუ; 118. ბრინჯი; 119. ალიონი; 120. კრივი; 121. „ცისკარა"; 122. მარსი; 123. ლოტოსი; 124. ფიალა; 125. დელტა; 126. ანტონიო; 127. ტბა; 128. მოა; 129. კარტი; 130. ონი; 131. ია; 132. ბარისახო; 133. ჯაფა; 134. ნიკ; 135. იდეა; 136. სვე; 137. როდ; 138. რიო; 139. ფასი; 140. ერდო; 141. ავი; 142. იავა; 143. გი; 144. სინდი. იკითხება: ბურვილი.

# საქართველოში, სამწუხაროდ, სულ ასეა — სანამ ვინმე არ გაუბედურდება, ხელისუფლება თითსაც არ ანძრევს



სამთო-სათხილამურო კურორტებზე, მოთხილამურეების უსაფრთხოება კანონით დარეგულირდება.

ცვლილება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში შედის, რომლის ინიციატორიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა.

როგორც მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელმა სანდრო ონოფრიშვილმა განაცხადა, მიუხედავად საკანონმდებლო რეგულაციისა, მოთხილამურეებისთვის გარკვეული რისკები მაინც იქნება, თუმცა, სახელმწიფო იზრუნებს, რომ ეს რისკები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

სანდრო ონოფრიშვილის თქმით, სამთო-სათხილამურო კურორტებზე გამაფრთხილებელი ბანერებია განთავსებული, თუმცა, ამ ეტაპზე არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობს, რომ გაკონტროლდეს, მოთხილამურეები სად და როგორ მდგომარეობაში ისრიალებენ.

– ჩვენს კომპანიას არ აქვს უფლება, რეკომენდაციები გასცეს. გვაქვს გამაფრთხილებელი ბანერები, თუმცა მოთხილამურეებს აქვთ უფლება, ნებისმიერ ადგილას ისრიალონ. ჩვენ არანაირი კანონიერი საფუძველი არ გვაქვს, გავაკონტროლოთ ეს ადამიანები, სად და როგორ მდგომარეობაში ისრიალებენ. ჩვენ მათ ვთხოვთ ხოლმე... მაგრამ ქართველების ამბავი კი იცით, ისინი არასდროს გვიჯერებენ, – აღნიშნა სანდრო ონოფრიშვილმა.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული კანონპროექტი მთავრობის სხდომაზე უახლოეს მომავალში იქნება წარდგენილი, რომელიც შემდეგ პარლამენტს გადაეგზავნება დასამტკიცებლად.

ცნობისთვის, რამდენიმე დღის წინ გუდაურში უბედური შემთხვევა მოხდა. მოზარდი გოგონა სრიალის დროს გარდაიცვალა. (ipress.ge)

მეექვსე გვერდიდან

კოსობაზე აქვს პრეტენზია. იცით, რატომ არ უნდა ეთქვა? მაშინ, როცა საქართველოს 80% ერთ ადგილას იყო შემძვრალი, როცა ჟურნალისტები ეკითხებოდნენ, სააკაშვილის ერთი ნაკლი გვითხარითო, ყველა რომ იმალებოდა და პასუხს ვერ სცემდა და ახლა კი ყველამ ენა ამოიდგა... ადამიანს დიდ თავისუფლებას რომ მიანიჭებ და ლოიალური იქნები, ხომ იცი, მერე სიტყვა გაექცევა. უსინდისობაა, იმ სპორტსმენების, მსახიობების განაწყენება, ვინც თავისი სისხლით და ოფლით მოიტანა ეს ქვეყანა. სოსო ჯაჭვლიანი ცხოვრებაში არასდროს ყოფილა მსახიობი, ოღონდ ამას გულწრფელად ვლაპარაკობ. ჩემს თავს მსახიობად არ ვთვლიდი, მსახიობები პარლამენტში მახვევიან 90 პროცენტი, მსგავსი მსახიობები დედამიწის ზურგზე არსად არ მინახავს, თან უნიჭო მსახიობები არიან, საქართველოს კი პოლიტიკოსებით არავინ არ იცნობს, საქართველოს იცნობდნენ ყოველთვის დიდი მსახიობებით, დიდი სპორტსმენებით, მეცნიერებითა და რეჟისორებით.

ბოლოს და ბოლოს, რა შეიყვეს თითი ერთ ადგილას, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ კვლევა ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ საქართველოს პარლამენტში არის 120-მდე იურისტი, ეკონომისტი, ბიოლოგი და ა.შ. ამ იურისტებმა და ეკონომისტებმა გაასწორეს მიწასთან საქართველო ბოლო 25 წლის განმავლობაში. ე.ი. რა, ჩვენ ვუშლით მსახიობები და სპორტსმენები ხელს?! და თუ ჩვენ ვუშლით ხელს, პირადად ჩემს თავზე ვიტყვი, არავის ძალით არ შევეტენივარ, ასი წელი არავისთან არ მივალ და არ შევეტენები და ვინც ამ ინტერვიუს წაიკითხავს ჩვენი ფრაქციიდან, მას გაახსენდება. ერთი ფაქტი, დროს არ დავასახელებ, მაგრამ ამ შეხვედრას ყველა ესწრებოდა. ფრაქციის წევრებს შორის იყო კამათი და ივანიშვილს ვუთხარი, – მე რომ თაფლად ვიქცე, ამათ ჩემთვის ვერდიქტი აქვთ გამოტანილი. იცით, რა მიპასუხა? შენ ხომ არ გავიწყდება და ხომ არ გეშლება, რომ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ხარო. მაშინ ვუთხარი, – მე კი არ მეშლება, ამათ ავიწყდებათ, რომ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ვარ-მეთქი. აქედან გამომდინარე, ერთადერთი ადამიანია ივანიშვილი, ვისთანაც საუბარი მიადვილდება. ფრაქციაში მიდის ყველანაირი დონის კამათი, მაგრამ როცა შენი გუნდი გეტყვის, არ გვჭირდებიო, რა დონის ნაძირალა უნდა იყო, თავი დაამალო. მეტი საქმე არა აქვს სოსო ჯაჭვლიანს. მანამდე უფრო კარგი სახელი მქონდა, ვიდრე პარლამენტში შემოვიდოდი. რაც ამ ხნის განმავლობაში ხდება, ის რომ არ აღდგა სამართლიანობა, არის უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე, ადამიანები სამსახურს ვერ შოულობენ, ამ ყველაფერზე ხალხი გაგიჟდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ გამოკითხვაში კარგად წერია, რომელ მაჟორიტარს რა პოზიცია უკავია. ნახონ, იქნებ, რაიმე გაიგონ, სერთოდ რაზე ლაპარაკობენ, რა პროფესიონალიზმის ნიშნით უდგებიან ესენი, გამაგებინეთ, ამ ეკონომისტებმა და იურისტებმა ხომ ააშენეს ქვეყანა. პარლამენტი ხომ წარმომადგენლობითი ორგანოა. 2004 წელს ზვიადაური რომ ჩემპიონი გახდა, მთელი საქართველო ხომ ტიროდა? მარტო მისი ავტორიტეტი გადაწონის მთელ პარლამენტს, იმდენი სიხარულის ცრემლი დაიღვარა მის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა ასახელა და მსოფლიო ასპარეზზე გაიყვანა. დანარჩენებს უკვე აღარ ჩამოვთვლი. როგორც ჩანს, ვიღაცებს უნდათ, რომ ეს ერთგული ადამიანები პარტია „ქართულ ოცნებას“ ჩამოაშორონ.

**— ვინ ურევს „ქართულ ოცნებაში“ სიტუაციას, კონკრეტულად გვითხარით.**

– მე რომ ვიცოდე, ზუსტად ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ხელებს ცუდად აფათურებს და სიტუაციას ურევს პარტიაში, კონკრეტულ გვარებს გეტყვით, მაგრამ მოდით, მეორენაირად დავსვათ საკითხი, ვთქვათ და ასეთი გადაწყვეტილებაა მიღებული, რომ სპორტსმენები და მსახიობები აღარ მოხვდებიან სიაში, შენ, პარტიის აღმასრულებელი მდივანი რომ ხარ, ამას რატომ ახმოვანებ პრესით?!. თუ შენ არ გინდა, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ რეიტინგი საბოლოოდ დაკარგოს, ამ ხალხს რატომ აღიზიანებ?!. ჯერ პარტიის წევრებთან უნდა დაჯდე და გვითხრა, – ბიჭებო, წადით სახლში. სოსო ჯაჭვლიანი რა, ის კაცია, რომ ვინმეს შეეტენოს?!.

**— ბიძინა ივანიშვილმა წლის შემაჯამებელ ინტერვიუში განაცხადა: ადამიანები, ვინც ვეღარ მოხვდებიან „ქართული ოცნების“ სიაში, ჩვენი გუნდის წევრებად დარჩებიან და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადანაწილდებიანო. მაინტერესებს, თუ გქონიათ საუბარი ამ საკითხზე ბიძინა ივანიშვილთან?**

– გასაგებია, გუნდია და მისი ერთგული უნდა დარჩე, მაგრამ ასეთი რამ გაგიგია, რომ მთელი გუნდი „ჩალიჩობდეს“, როგორ გადაგკიდონ შენი თანამებრძოლები. ჩემი შტაბის უფროსიდან დაწყებული, რომელიც გლდანის მაჟორიტარულ არჩევნებზე მყავდა, ჩემი დედმამიშვილებით დამთავრებული, არავისთვის მითხოვია დასაქმება, 9 წელი უმუშევრები იყვნენ და ახლაც ასე არიან, ალბათ, ასეც იქნებიან. ჩემი თანამებრძოლები, ვინც ატესტაციები გაიარეს, 100 ქულიდან 99 ქულა აიღეს, სამსახურებში ვერ მოხვდნენ. ადამიანები, ვინც თავი გაწირეს „ოცნების“ გამო. ხოლო ისინი, ვინც ბუჩქებში იმალებოდნენ, დასაქმებულები არიან. ასეთი მხდალი ადამიანები დღეს თანამდებობაზე არიან. აი, ამას აკეთებს ჩემი გუნდი, მაგრამ ჩემი თანამებრძოლები განა იმისთვის იდგნენ ჩემ გვერდით, რომ გამარჯვების შემდეგ პირში პონჩიკს ჩავუდებდი, მათ თავი გაწირეს ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის და რა მიიღეს? – წიხლი!.. უბრალოდ, ვერ ვხსნი, რა ხდება, შეიძლება, რომ ატესტაცია რამდენჯერმე გაიაროს ერთმა და იმავე ადამიანმა, მიიღოს უმაღლესი ქულა, მის ადგილას ვიღაც უსაქმური, ჩირგვებში დამალული მიიყვანონ და დასვან იმიტომ, რომ ვიღაცის პროტეჟეა... 2012 წელს ბუსუსებიანი პრეზერვატივების შესახებ კანონპროექტზე საუბარი რომ დაიწყეს, მთელი საქართველო „ღადაობდა“. დღეს ამათ შემთხვევით ხომ არ უნდათ ამ ბუსუსებიანი პრეზერვატივის როლში გამოიყვანონ ისინი, ვისზეც საუბრობენ, მაგრამ ხომ იცით, ვინც გადაწყვეტს, პატიოსნება, ერთგულება და სიმართლე იხმაროს, ის დარჩება იქით ნახმარი. აი, ეს არის ჩემი პასუხი.



**ბიძინა ივანიშვილმა კატეგორიულად გააფრთხილა პარტიის ხელმძღვანელობა, არც ერთი სვანი და არც ერთი სპორტსმენი არ დამანახოთო, ეს კონკრეტული ფრაზები კი გარდაბანში გამგებლობის კანდიდატის დასახელების დროს ყოფილა ნათქვამი, ვინაიდან გარდაბანში სვანების გაკონტროლება რთულია, ამიტომ შეარჩიეთ ნეიტრალური კანდიდატიო**

**„ბუსუსებიანი პრეზერვატივების შესახებ კანონპროექტზე საუბარი რომ დაიწყეს, მთელი საქართველო „ღადაობდა“. დღეს ამათ შემთხვევით ხომ არ უნდათ ამ ბუსუსებიანი პრეზერვატივის როლში გამოიყვანონ ისინი, ვისზეც საუბრობენ, მაგრამ ხომ იცით, ვინც გადაწყვეტს, პატიოსნება, ერთგულება და სიმართლე იხმაროს, ის დარჩება იქით ნახმარი“**

# მიჯნას ნუ გავაკეთებთ, ვინ უნდა იყოს და ვინ არა პარლამენტში — მანანა კობახიძე



პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე პარტია „ქართული ოცნების“ გადახალისებასთან დაკავშირებით ირაკლი კობახიძის განცხადებას ეხმაურება.

მისი თქმით, საარჩევნო სიის გადახალისება მოხდება, თუმცა, დეპუტატის განცხადებით, არასწორი იქნება მიდგომა, რომ პარლამენტში მოსახვედრი ადამიანები პროფესიის მიხედვით შეირჩნენ.

– ახალი სახეებიც საჭიროა. სიის გადახალისება ნამდვილად მოხდება, მაგრამ პირდაპირ გამიჯვნა, რომელი პროფესიის ადამიანები უნდა იყვნენ, ეს მთლად სწორი მიდგომა არ არის.

ბუნებრივია, თუკი კანონშემოქმედებაში ჩართული ბევრი ეკონომისტი, ბევრი ფინანსისტი იქნება, ეს სახარბიელო, მისაღები და კარგია, მაგრამ ზღვარს ნუ გავავლებთ და მიჯნას ნუ გავაკეთებთ, ვინ უნდა იყოს და ვინ – არა, იმიტომ, რომ ყველა პროფესიას თანაბრად ვცემ პატივს. ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, საკანონმდებლო ორგანოში იყოს ხალხის წარმომადგენელი, – განაცხადა კობახიძემ. (ნიუპოსტი)

# პატრიარქი 14 იანვარს სიონის ტაძარში საახალწლო პარაკლისს გადაიხდის



ხუთშაბათს, 14 იანვარს, 17:00 საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე საახალწლო პარაკლისს გადაიხდის, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

უწმინდესმა ტაძარში შეკრებილ მრევლს მცირე ქადაგებით მიმართა და აღნიშნა, რომ 14 იანვარს, ახალ წელთან დაკავშირებით სიონის საპატრიარქო ტაძარში საახალწლო პარაკლისი ჩატარდება, რომლის დროსაც ახალ წელს დალოცავენ.

– მშვიდობა და სიხარული სუფევდეს ქვეყანასა ზედა, – განაცხადა უწმინდესმა ქადაგებისას. პატრიარქმა ტაძარში შეკრებილებს შობა-ახალი წელი მიულოცა და დალოცა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „სამარცხვინო დუქანია პროკურატურა, თან რამხელა თანხა გვიჯდება ამ არაფრისმაქნისი დაწესებულების შენახვა“



თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალექსანდრე ელისაშვილი საკუთარ მოთხოვნაზე პროკურატურისგან მიღებულ პასუხს ასაჯაროებს. როგორც ის აცხადებს, 2014 წელს, პროკურატურაში მისი ვიზიტის შესახებ საშვების მონაცემებსა და შენობაში გადაადგილების ამსახველ ვიდეოჩანაწერებს ითხოვდა.

„ეს ვიდეოები მარტივად დაამტკიცებდნენ იმას, რომ მე და გიორგი გოგაძე ნამდვილად ვიმყოფებოდით მთავარი პროკურორის კაბინეტში“, – წერს ელისაშვილი „ფეისბუკში“. როგორც პროკურატურის პასუხიდან ირკვევა, უწყებაში ვიდეოჩანაწერებს ერთი წლის განმავლობაში არ ინახავენ, ამიტომ, მათი განმარტებით, აღნიშნული კადრები უკვე აღარ არსებობს.

– ამ პასუხს ველოდი სწორედ – პროკურატურამ, ვიდეოებს ვერ ვინახავთ ერთი წელიო :))) 2014 წელს პროკურატურაში ჩემი შესვლის შესახებ საშვების მონაცემები და შენობაში გადაადგილების ამსახველი ვიდეოჩანაწერები მომაწოდეთ-თქო, ოფიციალურად მივმართე ამას წინათ. ეს ვიდეოები მარტივად დაამტკიცებდა იმას, რომ მე და გიორგი გოგაძე ნამდვილად ვიმყოფებოდით მთავარი პროკურორის კაბინეტში. მაგრამ ზუსტად ვიცოდი, მიპასუხებდნენ, ვიდეოებს არ ვინახავთო. ერთი პატარა სერვერი უნდა ამ ჩანაწერების შენახვას არადა. ჰოდა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, კეზერაშვილის მაღალჩინოსნის ირაკლი შოთაძის პროკურატურაში ასეთი პასუხი გამოაცხვეს. სამარცხვინო დუქანია პროკურატურა, თან რამხელა თანხა გვიჯდება ამ არაფრისმაქნისი დაწესებულების შენახვა, – წერს ალეკო ელისაშვილი. (news.ge)

## თემურ ჭყონია ნოდარ ხადურს: 60 მილიონს გაძლევ და კიდევ მე გეხვეწო მეგობრობაზე?



– შუა წელიწადში ნურაფერს ნუ გააძვირებთ, იმიტომ, რომ ჩვენ, ბიზნესმენებს, ბიუჯეტი უკვე შედგენილი გვაქვს, – აღნიშნულის შესახებ თემურ ჭყონია ხელისუფლებას მოუწოდებს. ბიზნესმენი აცხადებს, რომ შუა წელში გაზრდილი გადასახადი კომპანიებს ფინანსურ პრობლემებს უქმნის.

– 60 მილიონს გაძლევ და კიდევ მე გეხვეწო მეგობრობაზე? ეს ჩემთვის საინტერესო არც არის. მე გაძლევ ამხელა თანხას და კიდევ მე გეხვეწო, ჩემი მეგობარი იყავიო? არ მჭირდება ეს მეგობრობა. რაში მჭირდება? აქედან გამომდინარე, ბიზნესმენებსაც არ სჭირდებათ. ბიზნესმენებისთვის მთავარია სტაბილურობა. შუა წელიწადში ნურაფერს ნუ გააძვირებთ, იმიტომ, რომ ჩვენ, ბიზნესმენებს, ბიუჯეტი უკვე შედგენილი გვაქვს. როგორც სახელმწიფო ადგენს ბიუჯეტს და კონტროლის ქვეშ არის საზოგადოების მხრიდან, რომ ის შესრულდეს, ასევე, ჩვენც ვადგენთ ბიუჯეტს და ამ ბიუჯეტის თითოეული ციფრი კონტროლზე გვაქვს. ეს არის ბიზნესის სწორი მართვა. შუა წელიწადში რომ გაახსენდებათ, რომ რაღაც უნდა გააძვირონ, ეს ჩვენი ბიუჯეტის დარღვევაა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩვეულებრივი ფინანსური ჯგუფია, რომელიც უნდა სწავლობდეს და სულ 1000 ადამიანს უნდა დაელაპარაკოს, საქართველოში კომპანიების ხელმძღვანელებს, რომ სწორი ბიუჯეტის სწორი დასკვნა მიიღონ. ეს კი საქართველოში ასე არ ხდება. კომუნისტური შეხვედრები და ალიაქოთი რომ არის, პირველი ამ შეხვედრებზე კითხულობენ, რა გიჭირთ ბიზნესმენებს, ვითომ რამის გამკეთებლები არიან, – აცხადებს თემურ ჭყონია.

– ფინანსთა სამინისტრო დარჩება და გახდება მეტად მეგობრული ბიზნესისადმი და არა ბიზნესმენებისადმი, – შეგახსენებთ, რომ ეს განცხადება ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა გასული თვის ბოლოს, საკომიტეტო მოსმენაზე გააკეთა. (businesscontact.ge)

## სოსო რობაქიძე გურამ დონაძეს: ჩემს დას რომ სპეცრაზმი გაუგზავნე, ის თქვი — ვინ იყო მაშინ შეურაცხყოფილი!



ბუტა რობაქიძის საქმის სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა ირაკლი ფირცხალავამ საქმის პროკურორი ამირან გულუაშვილი ტყუილში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ პროკურატურა **FBI**-ს დასკვნას მალავს:

– ამირან გულუაშვილი არის მატყუარა. მან თქვა, რომ არსებობს ამერიკის ფედერალური ბიუროს საბოლოო დასკვნა. თუმცა ეს დასკვნა საქმეში არ არის. თუ ასეთი დასკვნა გააჩნია, წარმოადგინოს სასამართლოში, – განაცხადა ფირცხალავამ.

ამირან გულუაშვილმა ბრალდებულს კორექტულობისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ ყველა მტკიცებულება, რაც ბრალდების მხარემ სასამართლოში წარადგინა, აქვს დაცვის მხარეს.

სასამართლო პროცესზე განცხადება ასევე გააკეთა კიდევ ერთმა ბრალდებულმა გურამ დონაძემ. დონაძის თქმით, დარბაზის მხრიდან სასამართლო სხდომების განმავლობაში მათ შეურაცხყოფას აქვს ადგილი:

დონაძეს დარბაზიდან გამოეხმაურა ბუტა რობაქიძის მამა – სოსო რობაქიძე:

– ჩემს დას რომ სპეცრაზმი გაუგზავნე, ის თქვი, ვინ იყო მაშინ შეურაცხყოფილი. სამი წელი გაიძახოდი, რომ ჩემს შვილს და მასთან ერთად მყოფებს იარაღი ჰქონდათ და ახლა ამბობ, რომ არ ჰქონია იარაღი, – განაცხადა რობაქიძემ სასამართლო პროცესზე. (რეპორტიორი)

## 2016 წლის ყველაზე ცუდი ეკონომიკის ქვეყნები



„ბლუმბერგმა“ იმ 10 ქვეყნის სია გამოაქვეყნა, სადაც 2016 წლის განმავლობაში ეკონომიკის განვითარების ცუდი დინამიკაა მოსალოდნელი.

ეკონომიკის ზრდის დაბალი პროცენტით სიაში მოხვდნენ განვითარებული ქვეყნებიც, თუმცა მათი მდგომარეობა სიის სხვა წევრი ქვეყნებისგან რადიკალურად განსხვავდება.

სიაში დადებითი, თუმცა დაბალი ეკონომიკური ზრდის პროცენტით მოხვდნენ შვეიცარია, ხორვატია, ფინეთი და იაპონია.

უარყოფითი მაჩვენებელი აქვს არგენტინას (0%), ეკვადორსა და რუსეთს (-0,5%), საბერძნეთი (-1,8%), ბრაზილია (-2,5%,), ვენესუელა (-3,3%). (ნიუპოსტი)

## თურქეთში ჟურნალისტებმა მასშტაბური აქცია გამართეს




თურქეთის ქალაქებში, ანკარასა და სტამბულში ჟურნალისტებმა საპროტესტო აქცია/მსვლელობა მოაწყვეს. მათ ამ ფორმით ხელისუფლების მიერ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და მათი კოლეგების დაკავება გააპროტესტეს.

მედიის წარმომადგენლები რკინის ჯაჭვებით შემოვლებულ წრეში დადგნენ და ჟურნალისტებზე არსებული ზეწოლა გააპროტესტეს.

ამჟამად თურქეთში 14 ჟურნალისტია დაკავებული, მათ შორის რამდენიმე გამოცემის რედაქტორიცაა, რომლებსაც ტერორიზმსა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ედებათ ბრალი. (ინტერპრესნიუსი)

## ქუთაისში მიკროავტობუსების მძღოლებმა საპროტესტო აქცია გამართეს



ქუთაისში მიკროავტობუსების მძღოლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მძღოლებმა მერიის მიერ შეთავაზებული სატენდერო პირობები გააპროტესტეს და განაცხადეს, რომ ტენდერით განსაზღვრულ პირობებში მათთვის მუშაობა გაუსაძლისია.

მძღოლების განმარტებით, მერია მათ ახალი მიკროავტობუსების შეძენასა და მაღალი გადასახადების გადახდას ავალდებულებს.

– ამის ფონზე მერია მგზავრობის საფასურის გაზრდის საშუალებას არ გვაძლევს. თუკი ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება არ მოხდება, აქციებს გავმართავთ, – განაცხადეს მძღოლებმა აქციაზე. (ინტერპრესნიუსი)

## ქართველი წყალბურთელების მარცხიანი სტარტი



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა სერბეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი რუმინეთთან მარცხით დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი პირველი ტაიმის განმავლობაში თანაბრად ეთამაშა მეტოქეს, საბოლოოდ ანგარიშით 6:12 დამარცხდა. საქართველოს ნაკრები მორიგ მატჩს 13 ივნისს, თბილისის დროით 12:30 საათზე გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებს. (kvira.ge)

## ზაქარია ქუცნაშვილი – ოკუპანტი ქვეყნის საწარმო „გაზპრომი“ საქართველოს გაზს 2008-2012 წლებშიც აწვდიდა



– ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში შეიძლება მოიაზრებოდეს რუსული, ყაზახური და ირანული გაზიც და მინდა შეგახსენოთ, რომ არც ერთი, არც მეორე და არც მესამე ქვეყანა დემოკრატიის მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და „გაზპრომს“ შორის დაწყებული მოლაპარაკებების საწინააღმდეგოდ გამოთქმულ არგუმენტებს არ იზიარებს.

დეპუტატის თქმით, „ოკუპანტი ქვეყნის საწარმო „გაზპრომი“ საქართველოს გაზს მათ შორის 2008-2012 წლებში აწვდიდა“.

როგორც ქუცნაშვილი აცხადებს, ჭკვიანი, ეროვნული ხელისუფალი ცდილობს, გაზის რაც შეიძლება მეტი მომწოდებელი ჰყავდეს ქვეყანას.

– ვინც ამ სფეროში ჩახედულია, დამეთანხმება, რომ 1991 წელს, როცა ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, საქართველოს მომარაგება ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენზე იყო დამოკიდებული. არ არსებობდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი გაზსადენი და ბაქო-თბილისი-შაჰდენიზის გაზსადენი მოგვიანებით აშენდა. შესაბამისად, 1991 წლიდან დღემდე სომხეთის რესპუბლიკისთვის მიწოდებული ყოველი 1000-კუბამეტრ გაზიდან 10 პროცენტი საქართველოს გატარების სანაცვლოდ რჩება, ანუ თუ ვინმე კანონდარღვევას ეძებს, მინდა გითხრათ, რომ „გაზპრომისგან“, როგორც გაზის სომხეთისთვის მიმწოდებლისგან, საქართველო, როგორც ამ გაზის ტრანზიტორი ქვეყანა, გაზის 10 პროცენტს იღებდა 1991 წლიდან 2004 წლამდე, 2004 წლიდან 2012 წლამდე და 2012 წლიდან დღემდე. ისმის კითხვა, 2008 წლიდან 2012 წლამდე, როდესაც ვუტარებდით გაზს სომხეთს, რატომ ვიტოვებდით „გაზპრომის“ გაზს?! მაშინ მოგვეთხოვა, რომ სხვა კომპანიას მიეწოდებინა გაზი სომხეთისთვის, რადგან ეს ოკუპანტი ქვეყნის გაზი იყო. ასე რომ, საერთაშორისო ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებში ასეთი რამ არ ხდება. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულ ინტერესებშია საკუთარი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც დღეს მიღწეული არ არის. თუკი ადრე მარტო რუსულ გაზზე ვიყავით დამოკიდებული, ახლა ძირითადად აზერბაიჯანულ გაზზე ვართ დამოკიდებული და ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუკი გაფართოვდება შუა აზიური და ირანული გაზის მოწოდების შესაძლებლობებითაც. აქედან გამომდინარე, ჭკვიანი ეროვნული ხელისუფალი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მომწოდებელი ჰყავდეს, მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს იმისთვის, რომ საკუთარი მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები დაიცვას. ასევე, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ შენდება ახალი თბოელექტროსადგურები და გვინდა, რომ თბოელექტროსადგურებმა საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაში საბაზისო ფუნქცია შეასრულონ, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ეგრე ჩიჩოლინაც მსახიობი იყო, კაცო, მაგრამ ვარგოდა პოლიტიკოსად? ან რეიგანის საუკეთესო პრეზიდენტობა ვინ თქვა, ჰა?



– მსახიობი იყო რონალდ რეიგანი, მაგრამ არ მგონია, ვინმეს ახსოვდეს ამერიკის უფრო კარგი პრეზიდენტი, – ასე ეხმაურება პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომ არსებული სიჭარბით, მომავალ პარლამენტში, მათ რიგებში მსახიობებსა და სპორტსმენებს არ ვიხილავთ.

როგორც ძიძიგურმა ჟურნალისტებს განუცხადა, მსახიობობა და სპორტსმენობა არავის მხრიდან დასაწუნი პროფესია არ არის.

– ყველა პოლიტიკური პარტია, რა თქმა უნდა, თავისი კანდიდატების შესახებ მსჯელობს. ამიტომ ყველა პარტიას ექნება თავისი მოსაზრებები, თუ რომელი და რა კატეგორიის კანდიდატები ეყოლებათ წარდგენილნი. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ კოალიციურ რეჟიმში ამ თემასთან დაკავშირებით რაიმე განხილვები გვქონდა – არ გვქონია! როგორც კი დაიწყება კონსულტაციები, თქვენ ამის შესახებ ინფორმირებულები იქნებით, – აღნიშნა ძიძიგურმა.

პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის განცხადებით, არსებული სიჭარბით, მომავალ პარლამენტში, მათ რიგებში მსახიობებსა და სპორტსმენებს საზოგადოება აღარ იხილავს. (ინტერპრესნიუსი)

## მეჭიაური — სააკაშვილი თავისით გახდა პრეზიდენტი, განსხვავებით მარგველაშვილისგან, რომელსაც პრეზიდენტის თანაშემწეობის შანსიც კი არ ჰქონდა



– სააკაშვილი, მომწონს თუ არ მომწონს, ის თავისით გახდა პრეზიდენტი. ერთხელაც და მეორედაც, ძალით, მაგრამ სხვის დაუხმარებლად გააკეთა ეს ყველაფერი, განსხვავებით მარგველაშვილისგან, რომელსაც ნულიც არ ჰქონდა შანსი, პრეზიდენტი კი არა, პრეზიდენტის თანაშემწე გამხდარიყო ბიძინა ივანიშვილის დახმარების გარეშე, – ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თამაზ მეჭიაურმა გააკეთა.

ტელეკომპანია „იბერიის" ეთერში, გადაცემა „პრიორიტეტებში" მან საქართველოს პრეზიდენტისადმი მის დამოკიდებულებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში სხვა „ბანაკში" გადავიდა. მეჭიაურის განცხადებით, მარგველაშვილმა საკუთარი გუნდი არასამთავრობოებისგან და ილიას უნივერსიტეტის თანამშრომლებისგან შექმნა. მეჭიაური მათ იდეოლოგიაზეც საუბრობს და ამბობს, რომ ეს მას არ მოსწონს.

მეჭიაურმა „ქართულ ოცნებაში" შემავალ პარტიებთან დაკავშირებითაც ისაუბრა. კითხვაზე: იქნებიან თუ არა სპორტსმენები და მსახიობები „ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში, მეჭიაურმა განაცხადა, რომ რაღაც დოზით ამ პროფესიის ხალხი კვლავ მოხვდება, თუმცა 2016 წლის არჩევნებზე ძირითადი გათვლა პროფესიონალიზმზე იქნება.

– დღეს რომ ზოგიერთი გვსაყვედურობს, რატომ არ გვყავს ბევრი ბანკირი, ფინანსისტი... შეიძლება მეც ვკვდები, ან სადღაც მივდივარ ან რაღაც ხდება. ვიღაც ერთი-ორი კაცი მაინც უნდა იყოს ისეთი, რომ ჩანაცვლების საშუალება გვქონდეს, – განაცხადა მეჭიაურმა. (პირველი რადიო)

## არჩევნები მოახლოვდა, ქალბატონო გუგული და ახლა გაგახსენდათ, მოსახლეობასთან მეტი რომ უნდა გემუშავათ? აი, ,,მალადეც"!..



საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი გუგული მაღრაძე მიიჩნევს, რომ სამი წლის განმავლობაში უფრო მეტი უნდა ემუშავა მოსახლეობასთან, თუმცა ელოდებოდა, რომ პარტიაში დავალებები გადანაწილდებოდა. დეპუტატი 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდსაც იხსენებს და ამბობს, რომ მაშინ ბიძინა ივანიშვილმა მას ახალგაზრდებთან მუშაობა დაავალა.

– გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება მაქვს, ხომ? 30 წელია, პოლიტიკურ სივრცეში ვტრიალებ და შემიძლია, ძალიან დადებითად ვთქვა, რომ არანაირი უარყოფითი რაიმე, რომ ვინმემ თქვას, რომ მე რაღაც გამოვიყენე არაკეთილსინდისიერად, ან რაიმე ამორალური... ან განათლება არ მაქვს, ან შრომისმოყვარეობა ან სხვა, ასეთი რამე ჩემ მიმართ არ ითქმება, მაგრამ მე ჩემს თავს ვსაყვედურობ იმას, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში უფრო ინტენსიურად შემეძლო და საჭირო იყო მოსახლეობასთან მუშაობა.

ამაში ხელის შემშლელი იყო ის, რომ მაინც ველოდებოდი, პარტიაში რომ დალაგდებოდა სტრუქტურები და გვყოფდნენ, რომ აი, შენ ეს გევალება, შენ ეს. 2012 წლის არჩევნებამდე ბატონმა ბიძინამ ერთი რაღაცა მითხრა, რომ ქალბატონო გუგული თქვენ ახალგაზრდებთან იმუშავეთ... ერთი სიტყვა იყო, მე რადგან ჩავთვალე, რომ ახალგაზრდებთან უნდა მემუშავა, არ დამრჩენია საქართველოს არც ერთი რაიონი, სადაც მე ახალგაზრდობასთან შეხვედრა არ მქონია. მქონდა შეხვედრა, ველაპარაკებოდი, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვართ ჩვენ, როგორ უნდა ვიმუშაოთ, რა უნდა უნდა გააკეთონ არჩევნებზე, ა.შ. და ა.შ. აი, ასეთი ტიპის დავალებებს ველოდებოდი და ალბათ, მეტი ინიციატივაა საჭირო და კი არ უნდა დაელოდო დავალებას, არამედ შენ თვითონ ჩაერთო ამაში და ამ მხრივ ჩვენ ძალიან ინტენსიურად უნდა ვიმუშაოთ ამ 9 თვის განმავლობაში, – აცხადებს გუგული მაღრაძე. (ipress.ge)

## გუდაურში ტრაგიკულად დაღუპული 12 წლის სალომე ტატიშვილი ექიმ დავით ტატიშვილის ძმისშვილია



გუდაურში ტრაგიკულად დაღუპული 12 წლის მოზარდი სალომე ტატიშვილი, „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის" ხელმძღვანელის, დავით ტატიშვილის ძმისშვილია. სამძიმრის წერილი ცენტრის „ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

– ტრაგიკულად დაიღუპა 12 წლის სალომე ტატიშვილი. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი ღრმა წუხილს გამოხატავს პატარა სალომეს დაკარგვის გამო, – წერია ცენტრის თანამშრომელთა მიერ გავრცელებულ სამძიმრის წერილში.

გუდაურში უბედური შემთხვევა 10 იანვარს მოხდა. მოზარდ გოგონას სასრიალო ტრასაზე 19 წლის ბიჭი დაეჯახა, რის შედეგადაც გოგონა ადგილზე გარდაიცვალა. (kvira.ge)

**„ალია" სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს!**

## მამაკაცი, რომელსაც სოფელ გომში ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს




კასპის რაიონის სოფელ გომში დაკარგული მამაკაცი თანასოფლელებმა გარდაცვლილი იპოვეს. ამის შესახებ ინფორმაცია „კვირას" შსს-შიც დაუდასტურეს. მათივე ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

72 წლის დავით თათარაშვილი, სახლთან ახლოს, შემაღლებული ადგილიდან გადავარდნილი ნახეს. არსებული ინფორმაციით, დაკარგულ მამაკაცს ოჯახის წევრები მიმდინარე წლის 3 იანვრიდან ეძებდნენ. (kvira.ge)

## ,,2016 წელს ავღანეთში მდგომარეობა გართულდება" — მედიამ ნატოს საიდუმლო მოხსენება მოიპოვა



ავღანეთთან დაკავშირებით ნატოს საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების სფეროში ამ ქვეყანაში 2016 წელს მდგომარეობა გართულდება, რაც ავღანეთის ჯარის დაბალი ბრძოლისუნარიანობით არის გამოწვეული. ამის თაობაზე გერმანული გაზეთი „შპიგელი" წერს.

როგორც სტატიაშია მითითებული, მრავალმილიარდიანი ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად, არმიას თავისი ფუნქციების შესრულება არ შეუძლია. 101 ქვეითთა ქვედანაყოფიდან მხოლოდ ერთია ბრძოლისუნარიანი, ხოლო 38-ს სერიოზული პრობლემები აქვს.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ავღანეთის სამხრეთ ნაწილში, სადაც მოძრაობა „თალიბანი" განსაკუთრებით აქტიურია.

მოხსენებაში ასევე წერია, რომ მძიმე მდგომარეობაა ავღანეთის შეიარაღებული ძალების დანაკარგების კუთხითაც.

სტატისტიკის მიხედვით, დღე-ღამეში ავღანეთში 22 სამხედრო იღუპება, ხოლო 1 წელიწადში დანაკარგმა 8 ათასი სამხედრო შეადგინა. ასევე, ადგილი აქვს მასობრივ დეზერტირობას. ჯარისკაცების ნაწილი თალიბების მხარეს გადადის.

ნატოს გადაწყვეტილებით, 2016 წლის ბოლომდე ავღანეთში ალიანსის შეიარაღებული ძალები დარჩება. დასავლეთის სახელმწიფოებს არ სურთ, რომ ქვეყანა ისევ „ტერორისტების ნაკრძალად" გადაიქცეს. (kvira.ge)

## მარგველაშვილი — როგორც პირდაპირი არჩევნებით არჩეულ პირს, შეიძლება ბევრად უფრო მეტი უფლებები მინდოდეს...



– ჩვენ ყველამ, იქნება ეს პრეზიდენტი, დეპუტატი, საკრებულოს წევრი თუ რიგითი ამომრჩეველი, ვისწავლოთ თამაშის წესების პატივისცემა, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ტელეკომპანია „გურჯაანის" ეთერში საუბრისას განაცხადა.

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს კონსტიტუციაში არსებულ ხარვეზებზე ისაუბრა. მისი თქმით, „ნაციონალურმა მოძრაობამ" საქართველოს კონსტიტუციაში დატოვა ხაფანგები, რომელმაც ინაუგურაციის შემდეგ იჩინა თავი. პრეზიდენტის განცხადებით, მიუხედავად ამისა, საჭიროა მოქმედი კონსტიტუციის პატივისცემა და არა მასში მუდმივად ცვლილებების შეტანა.

– უკეთესის მიღწევა ყოველთვის შესაძლებელია და ვერასდროს იტყვი, რომ იდეალური დოკუმენტი შექმენი, იქნება ეს კონსტიტუცია თუ კანონი. რა თქმა უნდა, წინა ხელისუფლების მიერ რაღაც ხაფანგებივით იყო ჩადებული ამ კონსტიტუციაში, რომელიც ამოქმედდა მანამდე კი არა, სანამ სააკაშვილი კოჰაბიტაციის რეჟიმში იყო, არამედ ინაუგურაციის დროს. რა თქმა უნდა, უკეთესი შესაძლებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველამ, იქნება ეს პრეზიდენტი, დეპუტატი, საკრებულოს წევრი თუ რიგითი ამომრჩეველი, ვისწავლოთ თამაშის წესების პატივისცემა. მე შემიძლია, დაგეთანხმოთ და გითხრათ, რომ, როგორც პირდაპირი არჩევნებით არჩეულ პირს, ბევრად უფრო მეტი უფლებები შეიძლება მინდოდეს, მაგრამ ეს არ იქნება სწორი. ამერიკის კონსტიტუცია დაიწერა წინა საუკუნეებში. რამდენად წარმოგიდგენიათ, როგორ შეიძლება ბატის ფრთით რომ იწერებოდა ტექსტი, ის იყოს ადეკვატური დღეს, კოსმიური ეპოქისთვის?! იმიტომ, რომ ისინი ერთგულნი არიან ამ დოკუმენტის, ისინი კონსტიტუციას ყოველდღე არ ცვლიან, სულ რამდენიმე შესწორება არის შესული. ჩვენ კი მუდმივად ვამბობთ, რომ ის კონსტიტუცია შეიძლება უკეთესი იყოს. მეც შემიძლია ვთქვა, რომ სხვა შეიძლება უკეთესი იყოს, მაგრამ მირჩევნია, რაც არის, იმის ერთგული ვიყო და იმ თამაშის წესებით ვითამაშო, ვიდრე ვცვლიდე რაღაცას. ყველა მოდელი იძლევა განვითარების შესაძლებლობას, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა საარჩევნო სისტემაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ საუბარი არ არის დემოკრატიის გაღრმავებისთვის ხელისუფლების ცვლილების აუცილებლობაზე, არამედ საუბარია საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებაზე და იმაზე, რომ სისტემა გადავიდეს უფრო გაშლილ სივრცეში.

– დღეს საკითხი არ დგას, რომ ქართული დემოკრატიის მომავალი უდრის ხელისუფლების ცვლილებას, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ჩვენ მაინც უნდა გავაღრმაოთ დემოკრატიული რეფორმები. აქ არ არის ლაპარაკი ხელისუფლების ცვლილებაზე. დღეს უკვე ლაპარაკია დემოკრატიის გაღრმავებაზე. მიზანი ის კი არ არის, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტია გავიდეს და რომელიმე სხვა პოლიტიკური პარტია მოვიდეს ხელისუფლებაში, დღეს მიზანი არის ის, რომ ქართველ ამომრჩეველს არ ჰქონდეს ცუდსა და უარესს შორის არჩევანი. ანუ ის ორპოლუსიანი სისტემა, სადაც ერთი იყო გადამრჩენელი და მეორე დამანგრეველი და დამანგრეველი უნდა შეეცვალა გადამრჩენელს, შემდეგ როლები იცვლებოდა და შავსა და თეთრს შორის იყო საუბარი. ეს სისტემა უნდა გადავიდეს უფრო გაშლილ, უფრო ევროპულ სისტემაში და ეს ნათლად ასახავს დემოკრატიულ პროცესს, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. (პირველი რადიო)

## ოქროს ბურთის მფლობელი ლიონელ მესი გახდა



ლიონელ მესი ჟურნალისტებმა, ნაკრებების კაპიტნებმა და მწვრთნელებმა 2015 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

აღსანიშნავია, რომ მესისთვის ეს მეხუთე ოქროს ბურთია.

ლეო მესიმ მარკო ვან ბასტენის, მიშელ პლატინისა და იოჰან კრუიფის რეკორდი მოხსნა და ზედიზედ 4-ჯერ (2009, 2010, 2011, 2012 წლები) გახდა წლის საუკეთესო ფეხბურთელი. მესი ოქროს ბურთის ფინალისტთა შორის ზედიზედ მეცხრედ მოხვდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია. მან „ბარსასთან" ერთად მოიგო 5 ტიტული (ლა ლიგა, კოპა დელ რეი, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი). მესიმ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრაში, სადაც პეპ გუარდიოლას მიუნხენის „ბაიერნს" 2 გოლი გაუტანა. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ლეო უეფამ ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად გასული წლის აგვისტოში დაასახელა.

ლეო მესის კონკურენტები ოქროს ბურთის ნომინაციაში მისი თანაგუნდელი ნეიმარი და კრიშტიანო რონალდო იყვნენ.

ასევე, დასახელდა ფიფას საუკეთესო წლის გუნდი – მეკარე: მანუელ ნოიერი; მცველები: ტიაგო სილვა, მარსელო, სერხიო რამოსი, დანი ალვესი; ნახევარმცველები: ანდრეს ინიესტა, ლუკა მოდრიჩი, პოლ პოგბა; თავდამსხმელები: ნეიმარი, კრიშტიანო რონალდო, მესი.

ფიფას წლის საუკეთესო მწვრთნელი კატალონიის „ბარსელონას" ესპანელი მწვრთნელი ლუის ენრიკე გახდა. ლუის ენრიკემ „ბარსას" მწვრთნელის რანგში 5 ტიტული მოიგო და 2015 წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულიც დაიმსახურა.

წლის საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში, ასევე, წარდგენილები იყვნენ მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი, პეპ გუარდიოლა და ჩილეს მთავარი მწვრთნელი ხოსე სამპაოლი. (ipress.ge)

საინტერესო ამბები...

# ჰიტლერის საყვარელი ქალის, ევა ბრაუნის საიდუმლოებები

ჰიტლერის მეუღლის, ევა ბრაუნის ცხოვრებაცა და სიკვდილიც საიდუმლოებითაა მოცული და დღემდე დავის საგანია.

ევა ნამდვილ გერმანულ ოჯახში დაიბადა, სადაც მთელი ძალაუფლება დიქტატორი მამის ხელში იყო. მამას საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა შვილის აღზრდასა და განათლებაზე. გოგონამ სამონასტრო სკოლა დაამთავრა და ხელოვნებით იყო დაკავებული. ბრაუნების ოჯახი ომის შემდგომი მდგომარეობის კვალობაზე არც ისე ცუდად ცხოვრობდა. მაგალითად, გარდა საკუთარი ბინისა და ავტომობილისა, ბრაუნებს მოსამსახურეც ჰყავდათ.

მამა ოცნებობდა, რომ შვილი მხატვრობით, მუსიკით დაინტერესებულიყო, მაგრამ ევა დედის კვალს გაჰყვა, რომელმაც 1905 წელს სათხილამურო სპორტის ოსტატის ტიტული მიიღო.

ევა „ქალურ რომანებს“ კითხულობდა, კინოვარსკვლავების მსგავსად, დიდებაზე ოცნებობდა და ლიცეუმში სწავლობდა.





მშობლები, რა თქმა უნდა, ოცნებობდნენ, რომ გოგონა ნამდვილი ლედი გაზრდილიყო. ევა, როგორც კი ლიცეუმი დაამთავრა, ინგლისელი ფროილაინების ინსტიტუტში ჩაირიცხა. იქ ფრანგულ ენას, ბეჭდვას, ბუღალტერიასა და საოჯახო საქმიანობას ასწავლიდნენ.

მოკლედ, გოგონებს წვრილი და საშუალო ბურჟუების ცოლობისთვის ამზადებდნენ.

სწავლის დამთავრების შემდეგ, სიმკაცრეს გადაჩვეულ ევას ხელახლა მოუწია რთულ ოჯახურ კანონებთან შეგუება. მამამ ფოტოატელიეში სამსახური უპოვა, სადაც ევა ჰენრიხ ჰოფმანის ასისტენტად მუშაობდა. მის მხრებზე იყო მთელი სამუშაო – გამყიდველი, კურიერი და მრავალი სხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი დატვირთვა.

თავად ჰოფმანმა, რომელიც პოლიტიკაში კარგად ერკვეოდა, შეამჩნია, როგორი ძალები იკრიბებოდა ჰიტლერის გარშემო და მალევე, როგორც კი ევამ მასთან მუშაობა დაიწყო, ჰიტლერის პირადი ფოტოგრაფი გახდა.

მართალია, ჰიტლერი მალევე მოიხიბლა ევათი, მაგრამ იმ პერიოდში ოფიციალური პარტნიორი ჰყავდა, რომელთან ერთადაც არაერთხელ გამოჩნდა სხვადასხვა ღონისძიებაზე. ეს იყო მისი ნათესავი ჰელი რაუბალი, რომელსაც მომავალი ფიურერი ბიძად ეკუთვნოდა. მოულოდნელად, გაურკვეველი მიზეზების გამო ჰელი ჰიტლერის ნაყიდ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. ჰიტლერის მწუხარება განუზომელი იყო. სწორედ ასეთ მძიმე წუთებში მასთან ევა აღმოჩნდა, რომელიც ერთადერთი იყო, ვისაც ჰიტლერის დამშვიდება და შეკავება შეეძლო.

სხვა ქალებისგან ევას გამორჩეულობა თვალშისაცემი იყო: ის ჰიტლერს იღებდა ისეთს, როგორიც იყო, მთელი თავისი უჩვეულო სექსუალური ჩვევებითა და სურვილებით.

მაგრამ შეხვედრები სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. უცნობია, მართლა უნდოდა თავის მოკვლა თუ ყურადღების მისაქცევად გაითამაშა ტრაგედია, მაგრამ 1932 წლის 1-ელ ნოემბერს ევამ გამოსამშვიდობებელი წერილი დაწერა და პისტოლეტი ისროლა. ტყვიას მისთვის სერიოზული დაზიანება არ მიუყენებია, მხოლოდ კისერთან გაკაწრა. თავის მოკვლის წარუმატებელმა მცდელობამ შედეგი გამოიღო – აცრემლებული ჰიტლერი ევას სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდა.

ცოტა ხნით ყველაფერი დალაგდა. ადოლფმა ევასა და მისი დისთვის ბინა დაიქირავა. მასთან დადიოდა, მაგრამ ურთიერთობა მაინც გასაიდუმლოებული იყო. დიქტატორი დაოჯახებას არ აპირებდა და გამუდმებით იმეორებდა, რომ მისი ცოლი გერმანიაა. ბრაუნის დღიურებში ასეთ ჩანაწერებს ვკითხულობთ:

„11.03.1935 – რატომ შევხვდი? საშინელებაა... უკეთესი იქნებოდა, ეშმაკს დავკავშირებოდი! ამაზე უარესად ყოფნა შეუძლებელია. მას მხოლოდ გარკვეული მიზნებისთვის ვჭირდები.

28.03.1935 – არც ერთი თბილი სიტყვა სამი თვის განმავლობაში. ნუთუ, ეს სიყვარულია?“

მოგვიანებით ევამ დიდი რაოდენობით ძილის წამალი მიიღო. დამ მალევე შენიშნა ევას მდგომარეობა და შველა მოასწრო. სცენარი განმეორდა – ადოლფი ისევ დაბრუნდა საყვარელ ქალთან და ერთი ნაბიჯით აღარ შორდებოდა. გარდა ამისა, ამ შემთხვევის შემდეგ ქალი ფინანსურად დამოუკიდებელი გახდა. მისთვის საუკეთესო სამოსი იკერებოდა, ფეხსაცმელები კი სპეციალური შეკვეთით იქმნებოდა.

როცა ომი დაიწყო, ჰიტლერი ცდილობდა, ევა ყოველგვარი საფრთხისგან დაეცვა. ქალი საყვარელი ადამიანის გამო მზად იყო, ყველაფერზე წასულიყო, მაგრამ ჰიტლერმა ბერლინში ჩასვლა აუკრძალა – გაუგებარია, რატომ.

არა მხოლოდ ევა ბრაუნის, არამედ მთლიანად მესამე რაიხის ყველაზე დიდი საიდუმლო ის არის, ვინ გარდაიცვალა გერმანიის არმიის დამარცხების დღეს. ამერიკელი მკვლევრის, მელხიორის კვლევების მიხედვით, სავარაუდო თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ჰიტლერისა და ევას ორეულები შეარჩიეს. საქორწინო ცერემონიალის შემდეგ ევა ბრაუნი ორეულით შეცვალეს, თვითონ კი გერმანიის სამხრეთით გაამგზავრეს.

პროფესორმა რეიდერ სოგინაესმა 1981 წელს შოკისმომგვრელი მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც გერმანულ ბუნკერში ევა ბრაუნი არ დაღუპულა. თანაც დამწვარ ევას სრულიად დაუზიანებელი კბილის პროთეზი აღმოუჩინეს. მაშინ არავის დაუწყია დავა, ისევე როგორც შეუსაბამო მონაცემების გადამოწმება.

ომი დამთავრებული იყო. ვინ იცის, რა მოხდა სინამდვილეში და შეძლებს თუ არა ოდესმე ვინმე, ამ საიდუმლოს ამოხსნას.

**repin.info**

საინტერესო ამბები...

## დღის ძილი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ყოფილა



არ გაუშვათ ხელიდან შანსი და როგორც კი დღის მანძილზე ამის საშუალება მოგეცემათ, ცოტა „წაუპლაცკარტეთ“.

რატომ და იმიტომ, რომ მიღებულია კლინიკური მონაცემები, რომელთა თანახმადაც დამტკიცდა თეორია, რომ ძილს შუა დღის შემდეგ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის კლინიკური მტკიცებულებები დღემდე არ არსებობდა და აი, რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ, რაც სპეციალისტებმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან და საავადმყოფოდან მიღებული მონაცემები შეისწავლეს, დაასკვნეს:

– დღის მანძილზე ადამიანები ძალიან ბევრი მიზეზის გამო, სერიოზულ სტრესს განიცდიან. მისგან განთავისუფლებისთვის კი შუადღისას 45-წუთიანი ძილია აუცილებელი, – განმარტავენ სპეციალისტები.

მათივე თქმით, სწორედ დღის ძილით შეიძლება სტრესული მდგომარეობის კლანჭებიდან თავის დახსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსიამოვნება სულ უფრო ღრმავდება და შეიძლება, ქრონიკული გაგრძელებაც მოჰყვეს.

**meganauka.com**

საინტერესო ამბები...

## გრიპი და გაციება — რა რეკომენდაციებს იძლევიან ექიმები



როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე პაატა იმნაძე ამბობს, წელს ვირუსების გავრცელების მაღალი მაჩვენებელი არ ფიქსირდება.

ზამთრის სეზონზე ვირუსების გავრცელებისა და გაციების რისკი მაღალია, ამიტომ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას გარკვეულ რეკომენდაციებს აძლევს.

თუმცა, როგორც ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე პაატა იმნაძე ამბობს, წელს ვირუსების გავრცელების მაღალი მაჩვენებელი არ ფიქსირდება.

შესაბამისად, მისი ინფორმაციით, რაიმე სახის ეპიდემიის გავრცელების საფრთხე არ არსებობს. „სურათი ამ მხრივ არის ისეთი, როგორც ყოველ წელს. ეს არ ნიშნავს, რომ, თუ ვინმე გაცივდა, ამას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. თუ გვაქვს გრიპისმაგვარი დაავადება, მაღალი სიცხე, 38 გრადუსი, ბავშვის შემთხვევაში ექიმს ერთი დღის შემდეგ უნდა მივმართოთ, ხოლო დიდის შემთხვევაში სამი დღის შემდეგ. აუცილებელია მივიღოთ დიდი რაოდენობით სითხე და ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი. მივმართავ მშობლებს, რომ გაციების შემთხვევაში ბავშვები სკოლაში არ გაუშვან. ზოგადად, ვირუსი ყველაზე მეტად ვრცელდება მათგან, ვინც ახალი გაციებულია“, – ამბობს პაატა იმნაძე.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები...

## როგორ დავსვათ სუნთქვით კიბოს დიაგნოზი



რა არ დაწერილა და რა არ თქმულა სიმსივნურ თუ სხვა მძიმე დაავადებებზე. თემა არახალია, რაც იმას არ ნიშნავს, რომ უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ. პირიქით, მუდამ თვალი უნდა ვადევნოთ, რათა სიახლეების საქმის კურსში ვიყოთ.

უახლოეს მომავალში იაპონელი მეცნიერები კიბოსა და სხვა მძიმე დაავადებების დიაგნოსტირების სენსორულ ეკრანს წარმოადგენენ. სენსორი ეკრანზე გამოავლენს დაავადებას. ჩართული სენსორი კი შეგიძლიათ, პირდაპირ დაუკავშიროთ თქვენს სმარტფონს.

მეცნიერები აცხადებენ, რომ დაავადებების დიაგნოსტირება შესაძლებელი იქნება ნებისმიერ ეტაპზე. იგეგმება, რომ სიახლე ეკონომიური იყოს, რათა ნებისმიერმა მყიდველმა შეძლოს შეძენა.

მოწყობილობის პროტოტიპი უკვე შექმნილია. დარჩენილია მხოლოდ დამუშავება და მისთვის სამრეწველო სახის მიცემა.

იქნებ, შემდეგი ნაბიჯი დიაგნოსტირების მსგასი ეფექტური მკურნალობა იყოს.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები...

## ბავშვობაში ფიზიკურ დატვირთვას ტვინის მუშაობის გაუმჯობესება შეუძლია



ბავშვობაში ფიზიკური დატვირთვა ნაწლავურ ბაქტერიებზე ზეგავლენას ახდენს, რაც, თავის მხრივ, მოზრდილ ასაკში აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლასა და ტვინის მოქმედებას.

ასეთ დასკვნამდე კოლორადოს უნივერსიტეტის ბიოლოგები მივიდნენ. მეცნიერებმა ლაბორატორიის თაგვებზე რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარეს. იმ ახალგაზრდა თაგვების ნაწლავურმა ბაქტერიებმა, რომლებიც ყოველდღიურად ფიზიკურად იტვირთებოდნენ, გაიმარჯვეს და მოზრდილ ასაკში პრობიოტიკური ბაქტერიების ზრდა დაფიქსირდა. ასეთი ეფექტი არ ქონდათ იმ თაგვებს, რომლებიც ფიზიკური პასიურობით გამოირჩეოდნენ.

კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ ნაწლავური ბაქტერიები პირდაპირ მოქმედებს ტვინის ფუნქციაზე და ანტიდეპრესიულ ეფექტს აუმჯობესებს. „მომავალში ჩვენი გრძელვადიანი ექსპერიმენტები მთლიანად ფოკუსირებული იქნება იმაზე, როგორ მოქმედებს ბაქტერიები ტვინის ფუნქციონირებაზე უფრო ვრცელ პერსპექტივაში“, – აღნიშნა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, აგნეშკა მიკამ.

**korrespondent.net**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## „კაბიანი ჯობსი“ — ვინ არის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ქალი, რომელმაც მედიცინაში გარღვევა მოახდინა



როდესაც ელიზაბეთ ჰოლმსის ისტორიას გაეცნობით, შეუძლებელია, სტივ ჯობსთან არ გაავლოთ პარალელი. ბავშვობაში ორივეს მარტოობა უყვარდა, ორივემ მიატოვა სწავლა, რადგან მიიჩნევდნენ, რომ უფრო მნიშვნელოვნის მიღწევა შეეძლოთ. ისევე როგორც ჯობსს, ჰოლმსსაც სჯეროდა, რომ მის კომპანიას მსოფლიოს შეცვლა შეეძლო. თუმცა, სტივ ჯობსი მილიარდერი 40 წლის ასაკში გახდა. ელიზაბეთი კი, სულ რაღაც, 31 წლისაა და მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ქალია. გასულ წელს მისი პროექტი „თერანოსი“ 9 მილიარდ დოლარად შეფასდა.

ჰოლმსი შავ მოტკეცილ სვიტერებს ატარებს. ამით შერონ სტოუნს ჰბაძავს, მარტინ სკორსეზეს ფილმიდან „კაზინო“. ასზე მეტი შავი სვიტერი აქვს და დილაობით დროს არ კარგავს იმაზე ფიქრით, რა ჩაიცვას. სტივ ჯობსის ბიოგრაფია კი ოთახში კედელზე უკიდია.

ბავშვობაში ელიზაბეთი ბევრს კითხულობდა. განსაკუთრებით აინტერესებდა თავისი პაპის პაპის – ქირურგის, ინჟინრის, გამომგონებლის კრისტიან ჰოლმსის ბიოგრაფია და გადაწყვიტა ცხოვრება მედიცინასთან დაეკავშირებინა, მაგრამ ექიმობა არ გამოუვიდა და ეს მაშინ აღმოაჩინა, როცა მიხვდა, რომ ნემსის დანახვისაც კი ეშინოდა. მოგვიანებით, განაცხადა, რომ ეს შიში გახდა მთავარი მიზეზი „თერანოსის“ დაწყებისა – კომპანიის, რომელიც საშუალებას იძლეოდა, ანალიზი არა ვენიდან, არამედ თითიდან პატარა ნემსით აეღოთ.

ელიზაბეთმა სტენფორდში ქიმიური ინჟინერიის ფაკულტეტზე ჩააბარა. პირველივე კურსზე დეკან ჩენინგ რობერტსონისგან იმ ლაბორატორიაში მუშაობის უფლება მოიპოვა, სადაც ის სტუდენტები საქმიანობდნენ, რომლებიც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის დაცვას აპირებდნენ.

შემდეგ იყო სტაჟირება სინგაპურში „გენომის ინსტიტუტში“, სადაც შეისწავლა მაშინ აზიაში გავრცელებული ატიპური პნევმონია. ის აკვირდებოდა, როგორ იღებდნენ სისხლს ანალიზისთვის და ფიქრობდა, რომ ამის გაკეთება უფრო თანამედროვე მეთოდებით იყო შესაძლებელი.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ იყო საპატენტო განცხადება – პლასტირი, რომელიც გამოყოფს სამედიცინო ნივთიერებებს და თვალყურს ადევნებს სისხლში ცვლილებებს. მას შეიძლება მიემაგროს მობილური ტელეფონის ჩიპიც, მონაცემები კი ექიმს მიაწოდოს. ჰოლმსმა ყველაფერი პროფესორ ჩენინგ რობერტსონს აჩვენა და შესთავაზა, მისი მრჩეველი გამხდარიყო.

19 წლის ასაკში ჰოლმსმა მიატოვა უნივერსიტეტი, ის ფული კი, რომელიც ოჯახს სწავლისთვის ჰქონდა გადადებული საკუთარ კომპანიაში ჩადო და ინვესტორების ძებნას შეუდგა.

2005 წლისთვის ჰოლმსმა დაახლოებით 6 მილიონი დოლარი მიიზიდა. თუმცა, კლინიკური გამოცდების ჩატარებას ტესტები სჭირდებოდა, ეს კი სერიოზულ ფინანსებს მოითხოვდა. ჰოლმსმა ხელი მოაწერა კონტრაქტებს ფარმაცევტულ კორპორაციებთან, მათ შორის „პფაიზერთან“ და „გლაქსოსმითკლაინთან“, რის შემდეგაც მისმა კომპანიამ მუშაობა დაიწყო მათი განყოფილებების სახით. ამის შემდეგ მისი პროექტით უფრო სერიოზული ინვესტორები დაინტერესდნენ. 2010 წლის ბოლოსთვის მან 92 მილიონი დოლარი მიიზიდა და დაიწყო სათანადო ტესტებზე მუშაობა.

ჰოლმსის კომპანია საშუალებას იძლევა, თითიდან აღებული მხოლოდ 1 წვეთით ჩაატაროს 30 ტესტი მიკროფლუიდებისა და ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც ჰოლმსის საიდუმლოა. ეს უფრო სწრაფი და იაფია, ვიდრე ჩვეულებრივ ლაბორატორიებში.

მის პროექტს ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა, თუმცა ფაქტია, 31 წლის ქალბატონის კარიერა დღითი დღე წინ მიიწევს, მისი კომპანია კი უფრო და უფრო ფართოვდება.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 2016 წლის ფინანსური რჩევები — როგორ დავზოგოთ ფული?



ახალი წლის დასაწყისი საუკეთესო პერიოდია ფინანსური გეგმების შესადგენად. „ბიზნეს ინსაიდერი“ 2016 წლის ფინანსურ რჩევებზე წერს. გამოცემის ცნობით, წელს ფულის დაგროვების დროს შემდეგი პუნქტები უნდა გავითვალისწინოთ:

**1.** მივყვეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ფინანსურ გეგმას. „დაწერილი ფინანსური გეგმის გარეშე, მიმართულება არ გვექნება იმისა, რა თანხა უნდა დავზოგოთ. თუმცა, თუ შედგენილი გაქვთ თვიური ბიუჯეტის სტრუქტურა, მაშინ გეცოდინებათ, რა შეგიძლიათ და რა არა“, – ამბობს ფინანსური მრჩეველი მარკ ეველონი. დაგეგმეთ, რამდენი თანხა და რა პერიოდულობით უნდა გადადოთ და დაიწყეთ დაზოგვა.

**2**. არ შეიძინოთ ის, რისი ყიდვაც არ შეგიძლიათ. „თქვენ უნდა აკონტროლოთ თქვენი ხარჯები და შეზღუდოთ სასურველი ნივთების ყიდვა. მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ადამიანებს უკეთესი ცხოვრების პირობების გამო რაღაც აქვთ, არ ნიშნავს, რომ თქვენც შეგიძლიათ მისი ყიდვა“, – ამბობს ეველონი. მისივე თქმით, ის რომ თქვენ მეტს გამოიმუშავებთ, არ ნიშნავს, რომ მეტი უნდა დახარჯოთ.

**3**. გამოიყენეთ სამსახურის მიერ შემოთავაზებული სარგებელი. თუ თქვენ არ იყენებთ დამსაქმებლისგან დამატებით სარგებელს, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევას, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ფულს ფლანგავთ.

**4**. ჯარიმების გადახდა. იმისთვის, რომ ფული დაზოგოთ, თავიდან უნდა აირიდოთ, გადასახადების დაგვიანების ჯარიმები, „ბანკომატიდან“ თანხის გატანის საკომისიოს გადახდა და ა.შ.

**5**. თქვენი სიმდიდრე არ არის ის, რამდენი თანხა გამოიმუშავეთ დღის განმავლობაში, თქვენი სიმდიდრე არის ის, რამდენი დაზოგეთ. არ არის აუცილებელი, იყოთ მდიდარი იმისთვის, რომ ინვესტიცია განახორციელოთ, ამისთვის საჭიროა, უბრალოდ, გამჭრიახობა და ნაკლები ხარჯვა.

**6**. შავი დღისთვის ფულის გადანახვა. ყველას აქვს გაუთვალისწინებელი ხარჯი, მაგალითად, საქორწინო საჩუქრისთვის ან სახლში სასწრაფოდ დასაბრუნებლად თვითმფრინავის ბილეთისთვის საჭირო თანხა. მსგავსი შემთხვევებისთვის ფული წინასწარ უნდა გქონდეთ გადადებული.

**7**. აუცილებელია თქვენს პარტნიორთან ერთად ფინანსური პასუხისმგებლობების გადანაწილება. თუ ერთად ცხოვრობთ, გაარკვიეთ, ვინ რა გადასახადს გადაიხდის.

**8**. არ თქვათ უარი, ცოტათი მეტი გადაიხადოთ ხარისხში. ყველას აქვს ის მომენტი, როდესაც ცდილობს, იყიდოს იაფი და დაბალხარისხიანი ნივთი და გადაიხადოს ნაკლები. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში იაფი პროდუქცია უფრო ძვირი დაგიჯდებათ.

**9**. ზედმეტი ოპტიმიზმი. ოპტიმიზმი კარგია, მაგრამ ზედმეტი – საშიში. ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ მომავალში უფრო მეტის გამომუშავებას შეძლებენ. „ფულის დაზოგვა პირველ რიგში თქვენი მენტალიტეტიდან უნდა გამომდინარეობდეს. ჯერ დაზოგეთ თქვენი პენსიისთვის და მერე რაც დარჩება, ის დახარჯეთ დღეს. თუმცა, ადამიანები საპირისპიროდ იქცევიან. ისინი ფიქრობენ, რომ დღეს საყიდელი აქვთ გარკვეული ნივთები და რა თანხაც ყიდვის შემდეგ დარჩებათ, იმას შეინახავენ. ჯერ თქვენი მომავლისთვის დახარჯეთ და შემდეგ აწმყოსთვის“, – გვირჩევს ფინანსური მრჩეველი მაიკლ ეგანი.

***bpn.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ახალდაოჯახებულმა წყვილმა სექს-შოპი გაქურდა



სიყვარულმა მე კი არა, გადარია ტარიელიო. რა უგუნურებას არ ჩაგადენინებს ეს გრძნობა და რას არ გაკადრებინებს...

ახლა რა მოხდა – ამერიკაში, მიჩიგანის შტატის ქალაქ ბეი-სითიში, 25 წლის უილიამ კორნელიუს უმცროსმა ხელი სთხოვა 20 წლის შერი მურს. თითქოს გასაკვირი არაფერია, მაგრამ მთავარი ახლა იწყება.

ახალბედა სიძემ ბეჭედი მაღაზია **Walmart**-ში შეიძინა და საყვარელ ქალს ხელიც იქვე სთხოვა. თანაც მაღაზიის გამყიდველი გოგონაც დაიხმარა და რუპორით განაცხადა თავისი სიყვარულის შესახებ. ატყდა ერთი ალიაქოთი და ტაშის კვრა. უილიამმა კარგით, გავერთეთ, გვეყოსო, ჩასჭიდა ხელი თავის ახალშეძენილ მეუღლეს და საიუველირო მაღაზიიდან სექს-შოპში გადაინაცვლა.

სექს-შოპიდან გამოსულმა წყვილმა კი აღებულ ნივთებში ფული არ გადაიხადა და ადგილიდან მიმალვა სცადა.

რა ექნათ, ფული თუ არ ჰქონდათ, იმიტომ სიყვარულობანაც არ უნდოდათ?

პოლიციამ დამნაშავე წყვილი მახლობელ სუპერმარკეტში დააკავა. სიძეს პროდუქტების რიგში ნერვიულობისა და სტრესის ნიადაგზე ჩასძინებოდა. მალევე მიაგნეს პატარძალსაც.

რა ბედი ეწია პატარა ოჯახს უცნობია.

***etotupo.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ლატარიაში გამარჯვებული ამერიკელი სასქესო ორგანოს მოოქროვების შემდეგ გარდაიცვალა




გასულ თვეს 38 წლის ჯასტინ გრინმმა, რომელიც მანამდე სუპერმარკეტში კონსულტანტად მუშაობდა, ლატარიაში 100 მილიონი დოლარი მოიგო. მოგების შემდეგ მან სამსახური დატოვა და ოქროს შესყიდვა დაიწყო. გრინმა ოქროს კბილები ჩაისვა, 2კგ ოქროს ძეწკვი, უამრავი ოქროს საათი და ბეჭედი შეიძინა, ბოლოს გენეტალიების მოოქროვება გადაწყვიტა, თუმცა არც ერთი ოქრომჭედელი ამ ოპერაციაზე არ დასთანხმდა. გრინმმა რამდენიმე ოქროს ზოდი დადნო და სასქესო ორგანო დამდნარ ოქროში ჩადო. მოოქროვების შემდეგ გრინმი 12 საათში გარდაიცვალა.

***argumenti.ge***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



ხალხური სიბრძნე:

– თუ „პახმელიაზე“ გაღვიძებულს პირში კბილის ჯაგრისი არ გეტევა, ესე იგი ხელში ფეხსაცმლის „ჩოთქი“ გიკავია!..

*****

კაზინოში მძარცველები შეცვივდნენ:

– დაწექით ყველანი!!!

ხმა ერთ-ერთი მაგიდიდან:

– ამ კარტში როგორ დავწვე, „სტრიტი“ მიჭირავს!..

*****



მოხუცი სურენა სიკვდილის პირასაა, ძლივსღა სუნთქავს. სასთუმალთან შვილიშვილს უხმო:

– ახპერჯან, „კუხნიდან“ შემწვარი თევზის სუნი გამოდის და მიდი, ერთი ორი ნაჭერი მომიტანე...

შვილიშვილი ბაბუასთან რამდენიმე წუთში დაბრუნდა:

– ბაბომა თქვა, არავითარი ერთი და ორი ნაჭერი, ეს თევზი ქელეხისთვის არისო...

*****

– საიდან იცი ასე კარგად სომხური ენა?

– სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებელი სომეხი მყავდა და...

*****

რწყილმა ზეცას ახედა და მეორე რწყილს გადაულაპარაკა:

– საინტერესოა, ნეტა თუ არის სიცოცხლე სხვა ძაღლზეც?

*****

– ექიმო, ჩემი ქმარი სიფილისით დაავადდა! მიშველეთ, გადამარჩინეთ, რა ვქნა, არ ვიცი!

– და თავად რატომ არ მოვიდა?

– მან ჯერ არაფერი იცის...

*****



– რატომ არიან თქვენი შვილები ასეთი ჭაღარები?

– იმიტომ, რომ ღამით, ზღაპრების ნაცვლად, სიმართლეს ვუყვები ხოლმე!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## განქორწინების შემდეგ, მამაკაცი ალიმენტს... სენბერნარს გადაუხდის



მოგეხსენებათ, სენბერნარი ძაღლის ჯიშია... და აბა, ცხოველი როგორ მიიღებს ალიმენტსო? იკითხავთ თქვენ. რა ვიცით, გერმანელმა მოსამართლემ ქალაქ ვარბურგიდან ასე გადაწყვიტა და...

როგორც ირკვევა, კენ დუნკანს ცოლთან განქორწინების შემდეგ, მოსამართლემ 200 ევროს გადახდა იმისთვის დააკისრა, რომ ცოლმა 4 წლის სენბერნარს მოუაროს და არაფერი დააკლოს.

მოზრდილი ძაღლი თურმე, ადამიანზე ნაკლებს სულაც არ ჭამს და მოვლა ხომ უნდა, არა?

გარდა ამისა, კენ დუნკანს მოსამართლემ დამატებით ორი ათასი ევროს გადახდაც დააკისრა, რომ ცოლისგან ის რამდენიმე თვის წინ წამოვიდა და ძაღლის რჩენა მარტო დარჩენილ დიასახლისს ძალიან გასჭირვებია.

*smoking-room.ru*

## როგორ მოიშოროთ პირიდან ხახვისა და ნივრის სუნი



მოდით, ჯერ ის ვთქვათ, რატომ ტოვებს ხახვი და ნიორი პირში უცნაურ სუნს. ამ მართლაც ძალიან დიდი უსიამოვნების მიზეზი პროდუქტების გოგირდოვანი შენაერთებია, რომლებიც პირის ღრუს ბაქტერიებთან რეაქციაში შედის და ესეც თქვენი – ცუდი სუნი.

ჰოდა, იმისთვის, რათა ხახვისა და ნივრის სუნის გამო უხერხულ სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ, შემდეგი რჩევები უნდა გაითვალისწინოთ:

1. ჭამის შემდეგ რეკომენდებულია თბილი წყლის გამოვლება და ცოტა ოხრახუშის („პეტრუშკის“) შეჭმა. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ოხრახუში არა მხოლოდ უსიამოვნო სუნს აქრობს, არამედ ღრძილებისა და კბილების გაძლიერების ერთ-ერთი შესანიშნავი საშუალებაა.

2. ადვილი ყოფილა ხახვისა და ნივრის სუნის მოშორება ნიგვზის, თხილისა და ნუშის შეჭმით.

3. თუკი მაცივარსა და კარადაში არც ერთი ზემოჩამოთვლილი პროდუქტი არ მოგეძიებათ, იქნებ, დილით რძე გქონდეთ ნაყიდი. ჰოდა, „მიეცით“ ერთი ჭიქა რძე და სუნსაც გაიქრობთ.

4. ხახვის სუნის შესუსტება შეიძლება კბილების გამოხეხვითა და ენის გაწმენდით. ასევე, რეკომენდებულია ციტრუსების კანის შეჭმაც, რადგან ის ხახვსაც და ნიორსაც ადვილად ერევა.

5. თუკი არც ერთი რჩევა არ მოგეწონათ, მაშინ ერთადერთი გამოსავალი ისღაა, რომ ნიორი და ხახვი მხოლოდ დაწოლის წინ მიირთვათ, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი პრეტენზიული მეუღლე არ გყავთ და უსიამოვნო სუნის გამო გულს შენიშვნებით არ გაგიწვრილებთ.

*flistnews.com*

## ტემპერატურის გაზომვას ადამიანი სარკის დახმარებითაც შეძლებს



თუკი ზღაპრებში სარკეს ყველაზე ლამაზი ქალის „დადგენა“ შეეძლო, რეალობაში იმავე პრინციპით, ანუ სარკეში ჩახედვით შესაძლებელი გახდება ტემპერატურის გაზომვა.

როგორც ირკვევა, იაპონურმა ელექტროტექნიკური კონცერნის

„ენ-ი-სი“-ს სპეციალისტებმა გამოიგონეს უკონტაქტო თერმომეტრი, რომელსაც ჩვეულებრივი სარკის „გარეგნობა“ აქვს მიღებული.

იმისთვის, რათა ახალი თერმომეტრით ადამიანმა სიცხე გაიზომოს, საჭიროა მხოლოდ სარკეში ჩახედვა და არავითარი კონტაქტი. რამდენიმე წამის შემდეგ მის ზედაპირზე შედეგი აისახება.

იმ შემთხვევაში, თუკი ტემპერატურა მაღალი იქნება, მონაცემის გამოტანასთან ერთად, სარკე განგაშის სიგნალსაც ჩართავს.

სიახლის ავტორების თქმით, მათი გამოგონების გამოყენება შეიძლება, მაგალითად, გრიპის ეპიდემიის დროს საზოგადოებრივ ადგილებში, სადაც იღლიაში ჩვეულებრივი თერმომეტრის გაკეთებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

იაპონელების თერმომეტრი დაახლოებით 1300 აშშ დოლარი ღირს.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**12 იანვარი:** ეს დღე მოწყენილ ნოტაზე არ უნდა დამთავრდეს და ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთოთ. გეგმების გასააზრებლად დრო გამოძებნეთ.

**კურო 22.04-21.05**

**12 იანვარი:** გარკვეული დრო მაინც გაატარეთ სახლის გარეთ. ამით საკუთარ აურას გაზრდით და უარყოფითი ენერგიისგან გაასუფთავებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**12 იანვარი:** ერთდროულად ავანტიურაში ჩართვა და თავის მაქსიმალურად დაზღვევა მოგინდებათ. შეეცადეთ, ეს დღე ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**12 იანვარი:** მაქსიმალურად ერიდეთ ადამიანს, რომლისგანაც წყენა გახსოვთ, მისგან სასიკეთოს არაფერს არ უნდა ელოდოთ. ეს მუდმივად გახსოვდეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**12 იანვარი:** რაღაცა, რაც დაბრკოლებად მიგაჩნიათ, შესაძლოა, განგებამ ყოფის გასაუმჯობესებლად გამოგიგზავნათ. თუ გაუმკლავდებით, ცხოვრებას გაიადვილებთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**12 იანვარი:** შეიძლება მოშურნეები მოიმრავლოთ და ამას ვერაფერს მოუხერხებთ, რადგან შურისთვის საბაბი არც კი იარსებებს. ასე რომ, ძალიან ფრთხილად.

**სასწორი 23.09-22.10**

**12 იანვარი:** არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოთ თავის მართლება და ერთგულების მტკიცება. ხვალ შეიძლება სიტყვების უკან წაღება მოგინდეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**12 იანვარი:** ენერგია და ფული უაზროდ არ დახარჯოთ, უფრო ყაირათიანად შეიძლება მათი გამოყენება. საქმე ისე არ წამოიწყოთ, თუკი ბოლომდე ვერ გახვალთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**12 იანვარი:** კარტების გახსნის არავითარი აუცილებლობა არ გექნებათ, თუ ეს ნებაყოფლობით მოინდომეთ. მოიცადეთ, ჯერ საჭირო დრო არ დამდგარა.

**თხის რქა 22.12-19.01**

**12 იანვარი:** თუ მოინდომებთ, ყველაზე უსარგებლო ნივთსაც კი, გამოყენებას მოუძებნით. კარგი დღეა ურთიერთობებისთვის, ყველა ადამიანს მოუძებნით მიდგომას.

**მერწყული 20.01-18.02**

**12 იანვარი:** სიკეთის კეთებას სიამოვნება ყოველთვის არ მოაქვს. თუკი დღეს მორიგ სიკეთეს გააკეთებთ, ელოდეთ, რომ სამაგიერო არცთუ სასიამოვნო იქნება.

**თევზები 19.02-20.03**

**12 იანვარი:** შეუძლებელია, მოულოდნელობებისთვის მზად იყოთ, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მზადყოფნა ურიგო არ იქნება. დღეს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## კოცნის შედეგად, ბავშვს შეიძლება კარიესი გადაედოსო



რაღა თქმა უნდა, კოცნით შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორეს ბევრნაირი დაავადება გადადოს, მაგრამ კარიესიც თუ შედიოდა ჩამონათვალში, ნამდვილად არ გვეგონა.

კანადელი სტომატოლოგების თქმით, კბილებთან დაკავშირებული პრობლემების გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი პირის ღრუს დაავადებების დაგვიანებული პროფილაქტიკაა. უფრო მეტიც, ისინი ამტკიცებენ, რომ ბავშვის პირის ღრუზე ზრუნვა მშობელმა ჯერ კიდევ მაშინ უნდა დაიწყოს, როცა პატარას პირველი კბილიც კი არ აქვს ამოსული.

არსებული ინფორმაციით, კარიესის გამომწვევი ბაქტერიები ადამიანის პირში კბილების ამოსვლამდე გროვდება. ამდენად, აუცილებელია, რომ ჩვილებს ღრძილები მცირე ასაკიდანვე გავუწმინდოთ ხოლმე.

პრობლემების ერთი ნაწილისგან თავის დაძვრენა შეიძლება, თუკი ბავშვებს ტუჩებში არ ვაკოცებთ და მათ საჭმელს გასაციებლად სულს არ შევუბერავთ. პირველი სტომატოლოგიური შემოწმების ჩატარება კი რეკომენდებულია ერთი წლის ასაკში.

დაბოლოს, აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ ბავშვის სტომატოლოგიურ ჯანმრთელობაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს დედის კვების რაციონი ფეხმძიმობის პერიოდში.

*medportal.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– ექიმო, ძილში ვხვრინავ.
– ხმამაღლა?
– კი, თან ძალიან ხმამაღლა!
– და ეს თქვენს მეუღლეს აწუხებს, არა?
– არა, ცოლი არ მყავს.
– ესე იგი, მარტო გძინავთ?
– დიახ.
– აბა, პრობლემა რაშია?
– როგორ თუ რაში – უკვე მეხუთე სამსახურიდან გამომაგდეს!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.12